საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციონო პარტია

№ 229 კვირა, 12 მაისი 1918 წ. № 229

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

გერმანელების რადიო ცნობით გერმანელებმა როსტოვი და ტიხორეცკაია აიღეს.—ყირიმის აღების შემდეგ გერმანელებმა ჯარი გადმოსხეს და ანაპა დაიკავეს.—კერჩსა და თეოდოსიაში ლტოლვილებს აღარ იღებენ: სხვა ნავთსადგურებში მხოლოდ რუს ლტოლვილებს იღებენ.—ფოთის კომისარიც იტყობინება შავი ზღვის ნავთსადგურები კატეგორიულად უარს ამბობენ არა რუს ლტოლვილთა მიღებაზეო.—შუშის მაზრაში ბრძოლაა მცხოვრებთა და ყაჩაღებს შორის.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

წლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, ,,სახალხო საქმის'' რედაქციას.

დავით (დათიკო) გრიგოლის ძე პეშტმალდჟიანცი და ვლადიმერ იოსების ძე ხელაძე აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს რომ, ვერაგულად მოკლეს ქალ. თავრიზში ექიმი

იაკობ გრიგოლის ძე

გამეზარდაშვილი

პანაშვიდი დანიშნულია კვირას 12 მაისს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 12 ს. მიცვალებულის მოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1152

ღრმად დამწუხრებული ნინო მიხეილის ასული და გიორგი მიხეილის ძე მეუღლით ხიზანაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ მათი უსაყვარლესი დის

კატიუშა ხიზანაშვილის

სულის მოსახსენებლად ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 12 მაისს კვირას ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 1 საათზე. 481

ძმები ტარასი და ფილიმონ, რძალი სოფიო, დები: ებე, მარო, აგრაფინა და ლუბა და სიძე ილია სარდიონის ძე გუგუშვილი ღრმად დამწუხრებულნი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 5 აპრილს მდინარე ოჩხამურის ხიდთან ომში თათრებთან იქმნა მოკლული საყვარელი ძმა

ხუტუ (გრიგოლი) სოლომონის ძე

სპრინკველი

რომელიც 14 აპრილს იქმნა ჩამოსვენებულ და 15 ს დასაფლავებული სოფელ ონტოფოში. ორმოცის წირვის და პანაშვიდის დღე ცალკე გამოცხადებულ იქმნება. 474

14 მაისს (1 მაისი) დღით სამშაბათს, საქარის მაცხოვრის ეკლესიაში, შორაპნის მაზრაში, გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის

კონსტანტინე (ანდრო) ხოფერიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ უბედური დედა მარგალიტა თეიმურაზის ასული საყვარელიძისა, ბესარიონ და ალექსანდრე სვიმონის ძენი საყვარელიძეები.

სტუდენტი გიორგი ლაზრიშვილი სწავლობდა ქ. კიევში. ტეხნიკურ სასწავლებელში, ბინად ცხოვრობდა ელენსკი ქუჩაზე № 55. ორი თვე გადის, რაც მის შესახებ არაფერი ვიცით. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: კობიის ქუჩაზანდი (ტუპიკი) № 11, ნინო ლაზრიშვილს. 464

ქართული დრამატ. საზოგ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ დანიშნულია პრემიები საუკეთესო ორიგინალური პიესებისთვის.

პრემიები ესეა განაწილებული:

პირველი პრემია (ერთი)	—	—	1000 მან.
მეორე პრემია (ორი)	—	—	700 „
მესამე პრემია (ერთი)	—	—	500 „

პიესებს განიხილავს იმისთვის საგანგებოდ დანიშნული კომისია.

დაბეჭდილ კონვერტებში ავტორი აღნიშნავს თავის სახელს, გვარს და პიესის სათაურს.

ეს კონვერტები გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ გამოირკვევა რომელ პიესას რა პრემია აქვს მინიჭებული.

პრემიით დაჯილდოვებული პიესის სცენაზე დადგმის უფლება ეძლევა განსაკუთრებით დრამატ. საზოგად. 3 წლით, მაგრამ ავტორი მიიღებს ყოველთვის თვითეულ წარმოდგენაზე დანიშნულ ჰონორარს.

პიესები უნდა წარუდგინოს დრამატ. საზოგადოებას ამ წლის 15 ოქტომბრამდის ამ მისამართით:

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორა, ტფილისი. 1138

ქართული კლუბი

ორშაბათს 13 მაისს (30 აპრილს)

ქართველ მსახიობთა მიერ

დამსახურებულ მსახ. ვ. გამყრელიძის და შ. დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა ვალ. გუნიასი

გურულების ცხოვრებიდან

ორი გმირი

დრამა 3 მოქ.

1-ლი მოქ. შეთქმულება და ღალატი. მე-2 მოქ. კარჩხალის მთებთან ოსმალთა განდევნა. მე-3 მოქ. უდანაშაულო სასჯელი.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგე პ. ფრანგიშვილი. რეჟისორი ვანო ბარველი. 1159

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შექეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 12 მაისს გაიმართება

ორი სადღესასწაულო წარმოდგენა

დღით—ბავშვებისათვის, საღამოს—პროგრამით, დაკლებულ ფასებში. 18 ნომერია. მონაწილეობენ ალბინასი და ჟაკი, ზოლოტარიოვი და მიკო, დე-ლა-ვაზო, კლერმონტი და სხვები.

ანონსი: ხვალისთვის, 13 მაისისათვის მზადდება ბენეფისი ველოსიპედისტებისა: ალბინასის და ჟაკის. მრავალი ახალი სანახაობა. 482

აჭარა-ქობულეთის სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოდ

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილების გამგეობა აჭარა-ქობულეთის სკოლების მასწავლებელთ და საზოგადოების სხვა და სხვა დაწესებულებებში მომუშავეთ ამით აუწყებს, რომ თვისი ხვედრი ჯამაგირების მიღება შეიძლება იხმაილ თევზაძესთან ქ. ლანჩხუთში.

მისამართი: ქ. ლანჩხუთი. სოლომონ ჩხარტიშვილის სახლი სადგურის მახლობლად.

განყოფილების გამგეობის მდივანი იხმაილ თევზაძე. 483

ტფილისი. 12 მაისი 1918 წ.

ეკონომიური ცხოვრების განვითარება.

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ის მოსაზრება, რომ ჩვენის საკუთარის ძალ-ღონითა და სურვილით ადვილად ვერ დავაღწევთ თავს ომის ზედ-გავლენას. თავისუფალი ვაჭრობა, თავისუფალი მიმოსვლა, თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა შრომის პროდუქტებისა შეზღუდულია და ეს კი შეუძლებლადა ჰხდის მშვიდობიან განვითარებას. მიუხედავად ამისა, ჩვენ მოვალენი ვართ ყოველივე ზომა მივიღოთ, რათა შრომა თავისუფალ პირობებში ჩავაყენოთ, შესაძლებელი გავხადოთ ამოძრავება ეკონომიური ცხოვრებისა. თუ დამოუკიდებლობა სათამაშოდ და გულის მოსაფხანად კი არ გამოვაცხადეთ, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფო შევქმნათ, სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ საფუძველს, რომელზედაც შენდება ყოველნაირი სახელმწიფო. სახელმწიფოს უფულოდ არსებობა ვერ შეუძლიან; ფინანსების საქმე თუ კარგად არ მოეწყო, ჩვენი ნორჩი სახელმწიფო სათავეშივე გაკოტრდება. დღეს კი ჩვენ არავითარი ფინანსიური სისტემა არა გვაქვს. უფრო მეტსაც ვიტყვით· არ არის ბაზა, რომელზედაც შეიძლება აშენდეს რაიმე ფინანსიური სისტემა, თუნდაც ფრიად რაციონალური და დემოკრატიზმის მატარებელი. მთელი ეხლანდელი ფინანსიური სისტემაა ქაღალდის ფულის ბეჭვდა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ დაუსრულებელი, უანგარიშო ბეჭდვა ქაღალდის ფულისა ვერავითარი საშუალებაა ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა.

როგორ დოვლათს მოგვცემს საგარეო ვაჭრობა, ჯერ კიდევ არ ვიცით. რანაირი იქნება გატანილისა და შემოტანილი საქონლის პროპორცია, ამის თქმა დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. ომიანობით დაზარალებული ევროპა იქნება დღევანდელ პირობებში არც ისეთი სახიფათო იყოს ჩვენთვის, როგორც ეს ხშირად ჰგონიათ ხოლმე. მაგრამ ამაზე დიდხანს ამ ჟამად არ შევჩერდებით. ეს მომავლის საქმე სწორედ იმიტომ, რომ გატან-შემოტანის საქმე დღეს ძალიან გაძნელებულია.

ფინანსიური კრიზისი ჩვენ უნდა ავანაზღაუროთ წესიერი გადასახადების დაწესებით. რა თქმა უნდა სისტემა ამ გადასახადებისა იქნება შემოსავლის კვალობაზე დადებული გადასახადი, მაგრამ ამასაც მოწყობა უნდა. უპირველესად ყოვლისა კი საჭიროა შევქმნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც შემოსავალი ამა თუ იმ პირისა გაიზრდება. თუ გვინდა გავზარდოთ სახელმწიფოს შემოსავალი, უნდა ყოველივე ღონე ვიღონოთ მცხოვრებთა შემოსავლის გასაზრდელად. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როდესაც ეკონომიური ცხოვრება და განვითარება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება.

დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ერთად ერთს მტკიცე, ურყევ გარანტიად ეკონომიური ცხოვრების სიმტკიცე შეადგენს თუ ეკონომიური ცხოვრება გამაგრებულ ფესვებზეა აშენებული, მაშინ მისი დამხობა არც ისე ადვილი იქნება; მაგრამ, თუ სახელმწიფოს საფუძვლები შერყეულია, მაშინ ვერც უცხო სახელმწიფოთა გარანტია გადაარჩენს მას დარღვევასა და დაშლისაგან.

აი აქეთკენ უნდა იყოს მიპყრობილი მთელი ჩვენი გულის ყური, თუ მართლა გვინდა დამოუკიდებელი სახელმწიფო შევქმნათ და ნორმალური კულტურული განვითარების გზაზე გამოვიყვანოთ ჩვენი პატარა სამშობლო.

ბათომის შემდეგ

2.

გადავეჩვიეთ თვითმოქმედებას.

უკანასკნელი ჩვენი ომის ამბებმა ცხადად გამოაშკარავეს ჩვენი პოლიტიკური მოუმზადებლობა, ჩვენი სულიერი დაცემა.

ოსმალოებმა რომ ბათომი აიღეს ან უკეთ რომა ვსთქვათ, მიიღეს, იმერეთისკენ გავემგზავრე, ჩემს სოფელში შევიარე და ერთი მეზობელი გლეხი, რომელიც წინად ს.-დემოკრატობდა, შინ შემომივარდა და გაცხარებით დაიწყო ყვირილი: შენ არ იყავი, რუსების გარეკას რომ გვიქადაგებდი (?), ეხლა ვინღა გვიპატრონებს, ვინ მოგვიტანს, ვინ გვაჭმევს პურსა!

ამ გლეხის სიტყვები დამახასიათებელია მთელი ჩვენი ცხოვრების. საუკუნეთა განმავლობაში მონობის უღელი გვედვა კისერზე, სხვის ხელში ვიყავით, სხვას შევყურებდით, სხვისი ბრძანებით ვმოქმედობდით, საკუთარი ნებისყოფა ჩაგვკვდა, მიუჩვდა ჩვენს არსებაში. ისეთი მდგომარეობა კიდევ უფრო განამტკიცა მეცხრამეტე საუკუნემ, სრულებით გადავეჩვიეთ თავის მოვლას, თვითმოქმედებას და როდესაც გაჭირვებამ წინ წამოგვიყენა დამოუკიდებელი საქმე, მოგვინდა ცხოვრების გაძღოლა, ომის წარმოება საკუთარის ძალ-ღონით, დავიბენით, თავი ვერ გავართვით მძიმე მდგომარეობას და უმწეოდ დავიწყეთ აქეთ იქით ცქერა, რყევა და უთავბოლო მოქმედება.

ჩემმა მეზობელმა ინსტიქტიურად, მოურიდებლად წამოიძახა: ვაიმე, პურს ვინღა მაჭმევსო!—იგი მუდამ სხვასაგან მოელოდა წყალობას, პური სხვას უნდა დაეღეჭა და ჩაედვა მის პირში. ეს სხვა ამდენ ხან რუსი იყო, დღეს არსაინ სჩანს და სანამ გამოჩნდებოდეს, ჩემი მეზობელი სასოწარკვეთილია.

მთელი ქართველობა ასე უიმედო და თავზარდაცემული შეხვდა ოსმალეთის შემოსევას. როგორც კი პირველი თოფი გავარდა, ვაიმეო დავიძახეთ და ცრემლებისთვის განვემზადეთ. გამორბოდნენ არა მხოლოდ ისინი, რომლებიც ბრძოლის ველზე იყვნენ, გამოვრბოდით ვინც შინ დავრჩით, გამოვრბოდით სულიერად, მორალურად და ერთბაშად თურქოფილები გავხდით, ჯერ კიდევ არ შემოსულ მტრის წინაშე ქედი მოვიხარეთ, ჯერ არ დამარცხებულნი დამარცხების გრძნობით განვიმსჭვალენით.

ერთს გამოქცეულს გურულს სალდათს ჰკითხეს ბათომში: სად გარბიხარო?—იმას უპასუხნია: ვაი, დედა, თათარია სასიკვდილო ტყვია მესროლა და როგორ გადავურჩი!... აი კიდევ ერთი სახე ჩვენი გადაგვარებისა. იმის მაგიერ რომ მედგრად დაგვეცვა ქვეყანა და კულტურა, ჩვენ ბავშურად შევჩვდით საქმეს და დაღონებულებმა ასე წარმოვიდგინეთ, რომ ვითომც ომი თამაშობა იყო და არა ბრძოლა ყოფნა—არყოფნისათვის.

ვიდრე უფრო შინაური მუშაობა უნდებოდით, ვიდრე უფრო სიტყვებს და რეზოლიუციებს ჰქონდა გასავალი, ვიდრე ჩვენი მოქმედების თუ უმოქმედობის შედეგს ასე მწვავედ არ განვიცდიდით და ჩვენი უძლურება და უმწეობა არ შეემოწმებიათ გარეშეებს, ჩვენი პასუხის მგებლობა არ იყო მაინცა და მაინც თვალსაჩინო, არავინ იყო ჩვენი მოსამართლე და დამსჯელი.

მაგრამ გარემოება ერთიან შეიცვალა, როდესაც ომში ჩაგვითრიეს და აგრე ვსთქვათ გამოვცხადდით საერთაშორისო სარბიელზე. ომი უდიდეს ენერგიის, საქმიანობის გამოჩენაა. აქ ვერავის მოატყუილებთ, არავინ გვაპატიებს შეცდომას, არავინ დაგინდობთ უმოქმედობისთვის. აქ გასავალი არა აქვს სიტყვას, რაც უნდა ლამაზი და ლოღიკური იყოს ის. აქ მხოლოდ საქმე და მოქმედება, საქმე და მოქმედებაა საჭირო და სულიერი სიმხნევე, შეგნება თვითარსებობისა, სული შემომქმედი.

ჩვენ ვერაფერი ეს ვერ გამოვიჩინეთ და მის მაგიერ, რომ ჯერ კიდევ ბრესტლიტოვსკამდის მცირედაც არის გაგვეთვალისწინებია მოსალოდნელი საფრთხე და გამაღლებულის სისწრაფით შევდგომოდით სამხარ მზადებას,—გულუბრყვილოთ, ნაცრქექიასავით დავენდეთ ზღაპრულ იმედებს და გულზე ხელები დავიკრიფეთ. ტრაპიზონში დელეგაცია გავგზავნეთ, დარწმუნებული ვიყავით, რომ ზავი უთუოდ იქნებოდა, თავს ვიტყუილებდით, რომ ოსმალეთის იმპერიალისტები დიდის პატივისცემით მიიღებდნენ ჩვენი დემოკრატიის წინადადებას და არა თუ არ-რას მოითხოვდნენ, აქეთაც შემოგვთავაზებდნენ საჩუქარს. მაგრამ... პირში ჩალა გამოგვავლეს: ჩვენ ვლაპარაკობდით, ოსმალეთი კი წინ მოდიოდა თავის ჯარით. ხუმრობო, მაინც ვიძახოდით. ბათომი აიღეს,—დაუჯერებელიაო, კიდევ ვსთქვით. ოზურგეთიც დაიპყრეს. არც ეს დავინახეთ და ერთმანეთს ვახარებდით ვეჰიბ-ფაშა, რაუფ-ბეი, ყველა ოსმალო სარდალი და აფიცერი ქართველებზე შეყვარებულები არიან და არ იციან რით გვაამონო! მერე ვიღაც ბოროტმა ხმა გააგდო: თვით ძლევამოსილს კაიზერს ვილჰელმს დეპეშა გამოუგზავნია ჩვენი მთავრობისათვის და დიდის სიყვარულით და აღტაცებით ულოცავს საქართველოს განთავისუფლებასო. ეს მაშინვე დავიჯერეთ და ბევრი მოითხოვდა, ქალაქი ბაირაღებით მორთოთო!..

ეხლა ჩვენი საზავო დელეგაცია ბათომშია და უკვე ომი გათავებულად გამოვაცხადეთ, ჯარები დავშალეთ, მობილიზაცია გავაუქმეთ. იარაღი დავყარეთ, ვართ უმოქმედოთ. მაგრამ ეხლაც რომ გაგვიცრუვდეს იმედი? მტერი რომ წადილებულს არ დაკმაყოფილდეს და კიდევ ახალი რამ მოგვთხოვოს? მაშინ?

ნუ თუ დრო არ არის, გამოვფხიზლდეთ, შევუდგეთ საქმეს, მოქმედებას, თავის პატრონობას?...

სამსონ ფირცხალავა.

ქართული პრესა

გაზ. „ერთობის“ თანამშრომელი სხვათა შორის სწერს აჭყვის პოზიციების შესახებ:

პოზიციებზე უფრო ხშირად სიწყნარეა. ეტყობა თათრებსაც ეშინიათ შეტევის დაწყების და რაღაცას ელოდებიან. ჩვენ რამდენიმე კაცი ვიყავით და დურბინდებით დავუწყეთ თვალიერება თათრების სანგრებს. შეგვნიშნეს და საშინელი სროლა ასტეხეს, ისროდნენ „პაჩქებით“. შემდეგ სანგრებიდან ამოვიდნენ, ჩვენებმაც ამუშავეს ტყვიის-

მფრქვეველი და თოფები და მტერიც ჩაჩუმდა. ყველა მზად არის საბრძოლველად, მაგრამ საერთო გრძობა ისეთია, რომ თუ შეტევა არ დაიწყეთ, ბევრი მიატოვებს პოზიციებს ღმერთმა ნუ ქმნას, თორემ თუ ეს მოხდა, თათრები ბორჯომსაც გამოსცილდებიან. აშკარად ამბობენ: ქვიშხეთამდის ჩვენ გვეკუთვნისო. მეინტერესებოდა გამეგო: ხომ არ იყო რამე მტრობა ჩვენებსა და მუსულმანებს შორის წარსულში. გლეხებმა მითხრეს: საუკეთესო განწყობილება იყო ჩვენსა და მათ შორის მუდამ კარგი მეზობლობა გვქონდა და ახლა კი ასე იქცევიანო.

„კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ",—მომაგონდა მოსეს ბრძნული თქმულება. ჩვენ კი ქრისტეს მცნებას მივსდევთ. თუ მას არ გამოვეთხოვეთ, ბორჯომის ხეობაც ზედ მიყვება ახალციხის მხარეს. ეს კი ჩვენს ქვეყანას დაქცევის კარამდე მიიყვანს.

ომის დეპეშები

ტფილისი 10 მაისი. „ანდრონსანი".

სტამბოლი. 9 მაისი. საომარი ცნობა ოსმანიეს სადგურიდან. ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ბერლინი, 9 მაისი. საომარი ცნობა ლიუსბახიდან ნაუენის სადგურიდან. ლიუსბახის ჩრდილოეთით და ავრის დასავლეთ სანაპიროებით საომარი მოქმედება გაძლიერდა. დანარჩენ ფრონტზე მზვერავები მოქმედებენ ბრწყინვალედ. სამი უკანასკნელი დღის განმავლობაში მტერმა 37 ჰაეროპლანი დაჰკარგა. ნაწილი საჰერო ბრძოლაში დაამარცხეს, ნაწილი ხმელეთიდან. ობერ ლეიტენანტმა შლეიხმა გუშინ მტრის 3 ჰაეროპლანი ჩამოაგდო და ამ რიგად რიცხვით მე-26, მე 27 და მე-27-ჯერ გაიმარჯვა საჰერო ბრძოლაში.

აღმოსავლეთის ფრონტი (ბერლინის ცნობა). უკრაინის რაიონის საომარი მოქმედება. აზოვის ზღვის ჩრდილო სანაპიროებით ჩვენ დონამდე წავიწიეთ და ქალ. როსტოვი ავიღეთ ამის შემდეგ მოლაპარაკება დაიწყო სადემარკაციო ხაზის დასაწესებლად.

ვენა. 9 მაისი. საომარი ცნობა. პიავას ორსავე ნაპირას გუშინ ზარბაზნების სროლა იყო. მთა-გორიან ადგილას ჩვენ მრავალ უბანში მოვიგერიეთ მტრის მზვერავები.

ბერლინი. 9 მაისი. საღამოს ცნობა. ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

პარიზი. 9 მაისი. საომარი ცნობა. (მიღებულია ეიფელის კოშკის სადგურიდან, ფრანგულად). გასული ღამის განმავლობაში არაფერი მომხდარა გარდა საარტილერიო სროლისა ხელლ-მონტ დიდიერის ფრონტის ორსავე მხარეს.

ლონდონი. 9 მაისი. საომარი ცნობა. გასული დღე-ღამის განმავლობაში საარტილერიო სროლა იყო ავრის ორსავე ნაპირას. რენ-შატელის რაიონში მტრის მზვერავები ცდილობდნენ ჩვენს მავთულიან ხლართებთან მოახლოებას, მაგრამ ჩვენ ისინი გავრეკეთ.

დანარჩენ ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

ბერლინი. მიღებულია ნაუენის რადიო სადგურიდან, გერმანულად. 10 მაისის საღამოს ოფიციალური ცნობა. ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ბერლინი. მიღებულია ოსმანიეს სადგურიდან, გერმანულად. 10 მაისი, დილის ოფიციალური ცნობა.

დასავლეთის ფრონტი დღის განმავლობაში არტილერია მოქმედებდა კემმელის რაიონში, ლუკეს ორსავე მხარეს და ავრის დასავლეთ სანაპიროზე. არტილერიის ძლიერი მზადების შემდეგ ამ რაიონში მტერმა იერიში მოიტანა და გააცხოველა დაზვერვა. იერიში ჩვენ მოვიგერიეთ და რამდენიმეც დავატყვევეთ.

საღამოს და თითქმის მთელი ღამე არტილერიის მოქმედება გრძელდებოდა იზერ-ოხსეს შუა.

ფრონტის დანარჩენ ნაწილში მხოლოდ თოფის სროლა იყო და მზვერავების შეტაკება.

ვენა. 10 მაისი ოფიციალური ცნობა. მთელი დღის განმავლობაში ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

სტამბოლი. 10 მაისი. ოფიციალური ცნობა. იერუსალიმ-ნაბლუსის გზაზე არტილერიის მოქმედება გაძლიერდა. სანაპიროებზე ჩვენმა სახელოვანმა ნაწილებმა სროლა აუტეხეს ჰაერის ბუშტს, რომელიც იქვე დაიწვა და ჩამოვარდა.

სხვა ფრონტებზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

ბერლინი. 10 მაისი. პრესის ცნობა. ინგლისელების ნაწილობრივი შეტევა ალბერტის ჩრდილოეთით მოვიგერიეთ. არც ფრანგების შეტევა აპრემონის ტყესთან არ დაბოლოვდა ნაყოფიერად.

პარიზი. 10 მაისი. ოფიციალური ცნობა.

დასავლეთის ფრონტი. საარტილერიო ბრძოლა იყო გრივეზნესა და ლასინიი-ეუაიონს შუა. ამას გარდა გასული დღე-ღამის განმავლობაში არაფერი მომხდარა.

აღმოსავლეთის ფრონტი. საარტილერიო ბრძოლა იყო სტრუმას შესართავთან სერბიის ჯარის ფრონტზე და მონასტერის ჩრდილოეთით. სერბიელი ჯარისკაცები ხელი-ხელ შეებნენ ბულგარელებს თხრილებში ჟუარსკისთან და გარეკეს ბულგარელები, რომელნიც ცდილობდნენ შეტევას დობროპოლიის მახლობლად. დობრადის დასავლეთით მზვერავთა მოქმედება იყო. ფრანგ-ინგლისელთა საჰაერო ფლოტმა ყუმბარები დაუშინა მტრის ბანაკს და ჰაეროდრომს ქალ. დრამში.

ტრანს-ოკეანეს პრეს ბიურო ცნობა მიღებულია უცნობ რადიო-სადგურიდან, ინგლისურად. სუბმარინი „გრონტ ჯერი", რომელიც კაპიტან ეპშელმანის მეთაურობით იყო გაგზავნილი, დაბრუნდა აზორის კუნძულების მიდამოებიდან. სუბმარინმა დაღუპა 9 გემი და 9 იალქნიანი ნავი და აგრეთვე იტალიელების სამხედრო გემი „სტერონი". ამას გარდა დაღუპულ გემებს შორის არის: იტალიის სამხ. გემი „კრეატა" 5495 ტონი, შეიარაღებული გემი „ოზოაკამი" 4435 ტონი, გემი „პრომეთე" 4455 ტონი და ინგლისის გემი „როროვუდი" 4150 ტონი და აგრეთვე იალქნიანი გემები: „ცეცილია", „გეორგინა", „ვაქსუდა" და ბარჟა „ლუზიტანია". გემებთან ერთად დაიღუპა მრავალი პური, ფქვილი, ბრინჯი, თითბრის მავთული, მარილი და ხეტყის მასალა.

ზავის გარშემო

კერძო ცნობებით საზავო მოლაპარაკება ბათომში დაიწყო და მთავარ საკითხებში შეთანხმება უკვე მოხდა.

ამჟამად არკვევენ პირობებს, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფოთა ურთიერთობას: სამხედრო სავაჭრო და სხვაგვარ ურთიერთობას.

ოფიციალური დეპეშები

10 მაისი, 12 საათი.

7 მაისს, სოფ. საროსა და ხიზაბავრას რაიონში, ახალქალაქის ჩრდილო-დასავლეთით რომ არის, მაჰმადიანი „ჩეტნიკები" ცდილობდნენ სარომქერის უღელტეხილი დაეკავათ. მაგრამ ჩვენმა ნაწილებმა გარეკეს ისინი ცეცხლის საშუალებით.

— ღამით რამდენიმე იერიშის შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა ალყა შემოარტყეს სოფ. ხერთვისს და შემდეგ იგი აიღეს.

დანარჩენ ფრონტზე მშვიდობიანობა არ დარღვეულა

რადიო-დეპეშები

ბერლინი. 10 მაისი. გრაფმა ფრიტლინგმა სახელმწიფო კანცლერს კიულმანს დეპეშით მას და ყველა წევრს საზავო დელეგაციისას მადლობა გადუხადა მათ ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის.

ფინლიანდიის სეიმის პრეზიდენტმა კონტრ ადმირალს მეირერს გაუგზავნა სამადლობელო დეპეშა იმ დახმარებისათვის რომელიც მან აღმოუჩინა გერმანიის ფლოტის ექსპედიციას და უბოძა კონტრ-ადმირალს პირველ ხარისხის ფინლიანდიის ჯვარი თავისუფლებისა. ადმირალმა მეირერმა უპასუხა, რომ იგი სიამაყით ატარებს ამ ჯვარს, რომელიც გამოხატავს ფინ გერმანელთა ერების საძმო ბრძოლისადმი ერთგულებას, და მთელის გულით უსურვებს ფინლიანდიის მთავრობას და ერს ბედნიერს, უშიშარ და მკვიდრ მომავალს.

ბერლინი. 10 მაისი. ბულგარეთის მეფემ ფერდინანდმა სახელმწიფოს კანცლერს კიულმანს მის სოფიაში ყოფნის დროს უბოძა დიდი ჯვარი ალექსანდრეს ორდენისა.

პარიზი. 10 მაისი. მიღებულია ინგლისის რადიოსგან ინგლისურ ენაზე. მოხსენება ინგლისის საადმირალოსი. საადმირალო იუწყება: ოპერაცია, ოსტენდეს და ზეებრიუგეს ნავთსადგურებში შესვლა-გამოსვლის გზის დასახშობად რომ იყო ხმარებული ნაყოფიერად დასრულდა გუშინ ღამით. ერთი ძველი და დღეს უხმარი კრეისერი „ვინდიქტივი" დაღუპულ იქმნა ოსტენდეს ნავთსადგურში შესავალთან. ამ დროიდან გზა ოსტენდეს და ზეებრიუგეს ნავთსადგურებში დახშულია. ჩვენი პატარა ძალები თავის ბაზას დაუბრუნდნენ, დაჰკარგეს მარტო ერთი მოტორიანი ნავი, რომელიც დაზიანებული იყო და ჩაძირეს რაზმის უფროსის ბრძანებით. ეს ოპერაცია ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ზეებრიუგეს ბლოკადა ძალიან ნაყოფიერად შესრულდა, რადგან გერმანული ნაღმოსნები და წყალ-ქვეშა ნავები წინააღმდეგ შემთხვევაში დახმარებოდენ, რათა ახალი შესავალი გზა დაედოთ ნავთსადგურში.

— მიღებულია ინგლისურ ენაზე ინგლისის რადიო სადგურისგან. გერმანიის მთავრობის განცხადება ფინლიანდიის ოკუპაციის გამო. ცნობა ტრანს-ოკეანეს პრესს-ბიუროსი. ფინლიანდიის მთავრობა აღჩეული იყო 100 ხმით წინააღმდეგ 80-ფინლიანდიის სეიმზე, რომელიც მოწვეული იყო 1917 წ. ნოემბერში. ეს სეიმი იყო მოწვეული უთავისუფლეს საფუძველთა და უფლებათა მიხედვით. მოხსენებული მთავრობა აღიარეს შვეციამ, ნორვეგიამ, ავსტრიამ, იტალიამ და ჩვენ. ინგლისშიაც კი აღმოჩნდნენ ამ მთავრობის მომხრე დამცველნი. ჩვენი შესვლით ფინლიანდიის მიწა-წყალზე ჩვენ სრულიადაც არა გვწადიან შევიჭრათ ამ ქვეყნის შინაურ პოლიტიკაში, მით უმეტეს, რომ, სამისოდ ჩვენთვის არავითარი საჭიროება არ არსებობს. დღეიდან ამ ქვეყნის განვითარება იქნება წინდაფიური. ჩვენ გვსურს მხოლოდ ვიზრუნოთ პოლიტიკურ და სამხედრო გარანტიებზე და უზრუნველყოფა ზღვისა ბალტიკის—ზღვა, ამისადმი ჩვენ ნაყოფიერად მივილტვით. ჩვენ დავსდეთ ფინლიანდიასთან ხელშეკრულებანი, რომელნიც აღძრავენ ორივე ქვეყნის ინტერესებს და რომელთა დახმარებით შევძლებთ ორივე ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალის გაძლიერებას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ფინლიანდიის განთავისუფლებით დიდ სამსახურს უწევთ შვეციას, რომელსაც, შექმნილ პირობათა წყალობით, ექნება დამცველი კედელი აღმოსავლეთით. მიზანი ჩვენის პოლიტიკისა ფინლიანდიაში შემდეგშიაც იგივე იქნება—მხარი მივსცეთ მეგობრულ ურთიერთობას შვეციისა და ფინებს შორის.

პაემანი

მზემ რომ ღამიდან დღე აიყვანა,
მე გამოვედი დანიშნულ ალაგს,
ჩემი ოცნება მზეს ენამყენა
და ელვისებრ დავიდი ფიქრით ციხე-ქალაქს.
მზეს აღმოსავლეთით ამოეტანა
შფოთი, ჩოჩქოლი ზღვად ამომქშენი,
მაგრამ უდაბნოს ჰგვანდა ქვეყანა,
რომ არა სჩანდა იქ სახე შენი.
ბევრ ხალხში ბევრხანს გეძებდა თვალი,
დიდხანს, სულ დიდხანს ვიყავი ეგრე,
ბოლოს იმედი მთლად მოვიკალი
და უიმედომ ღმერთს შევავედრე...
უზენაესო, სად იყე, სადა?
რად არ მოხვედი ჩვენს პაემანზე:
რომელი სული გამოგეცხადა,
რომელმა სულმა წაგიღო განზე?..

—

დღემ ჩააწვინა დასავლეთში მზე,
სიზმრიახ ძილად დაჰხურა ღამე
და ალაღგინა ზღვის ბოროტ ლიმზე
დღის გაიზრახვანი და სითამამე
ჩემს უკან კარი მოაჯახუნა,
შენს მისაღებად რომ იყო ღია
და, რომაც მე დღე ფუჭი მარგუნა
იმანვე სახლში გამომაწყვდია.
მაშინ ვსთქვი ლოცვა საზეციეროდ,
სადაც მხოლოდ შენ მოგიხსენიე.
ვსთქვი, თუ, ზენარო, სამაგიეროდ
მას ქვეყნად მაინც კეთილი მიე.
ვსთქვი და, რა სიზმრად თვალი მივხუჭე,
კარებში ქარმა დააკაკუნა,
ნიშნით მომიგო დღეის სიფუჭე,
ხოლო ბაღებში ხეები ღუნა.
და ბოლოს ისე დაიხმაურა,
რომ შენ ხმას ჰგვანდა მისი ხმა მკრთალი,
გაგიღე კარი, წვიმ რო გამურა,
მაგრამ ქარმა მტვრით ამივსო თვალი...
ო, სად იყავი, სიცოცხლევ, სადა?
რად არ მოხვედი ჩვენს პაემანზე?
რომელი სული გამოგეცხადა?
რომელმა სულმა წაგიღო განზე?!.

1918—1 მაისი.

ი. მჭედლიშვილი.

ამიერ-კავკასიის მთავრობაში.

ფინანსთა და შრომის სამინისტრობებს მთავრობამ დაავალა შეადგინონ პროექტი სავალდებულო დაზღვევისა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეების მიერ სალიკვიდაციოჯილდოს მიღების იმ შემთხვევაში, თუ ეს პირნი სხვა დაწესებულებებში აპირებენ სამსახურს. პროექტის შესადგენად 3 დღის ვადაა დანიშნული.

—

იუსტიციის სამინისტრომ სეიმში შეიტანა კანონპროექტი,—რომლის აზრია სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურე მამაკაცთა გათანასწორება უფლებრივად პენსიის და ერთდროულ დახმარების მისაღებად და ქალებთან გათანასწორება.

—

საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ა. ყაზარიანი.

—

ყველა სამინისტრომ სეიმს წარუდგინა თავთავიანთ მოსამსახურეთა შტატის და შეაფერ ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. სეიმმა პროექტი უარჰყო, რადგანაც თუ ამიერკავკასიის რესპუბლიკა შეერთებულ შტატებისავით მოეწყო, როგორც ეს განზრახულია, მაშინ თითო კანტონს მოსამსახურეთა ცალკე შტატი ეყოლება.

ახალი ამბავი

✦ **საქართველოს ეროვნული საბჭოს კრება.** დღეს, კვირას, შუადღის 12 საათზე გაიმართება ეროვნული საბჭოს კრება. განსახილველია საქართველოს და ამიერკავკასიის სახელმწიფოს კონსტიტუციის შედგენის საკითხი. კანდიდატების დასწრება საჭიროა.

✦ **ტფილისის სადგურზე** ლტოლვილებს აღარ იღებენ. („ანდრონსანი").

✦ **საქართველოს სამხედრო გზის** დასაცავად შესდგა სადარაჯო რაზმი, რომელშიაც 350 კაცი შედის. („ანდრონსანი")

✦ **ტფილის-კავკავის გზაზე** ქალაქთა კავშირი საავტომობილო ტრანსპორტს აწყობს. („ანდრონსანი").

✦ **წაღვერის სკოლა.** ტფ. ქალაქის თვითმმართველობამ შეიძინა წაღვერის კერძო სკოლა საქალაქო სასწავლებლებს სუსტ-გულიან მოწაფეებისათვის. („ანდრონსანი").

✦ **დელეგაციის გაგზავნა ბორჩალოსა და ახალქალაქში.** სომხებსა და მაჰმადიანებს შორის მომხდარ შეტაკებების ჩასაქრობად სეიმმა ბორჩალოსა და ახალქალაქში სპეციალური დელეგაცია გაგზავნა დელეგაციამ გაიარა სოფ. დუმანისი, მაგრამ იქით წასვლა აღარ შეეძლო, რადგან ის ცეცხლში გახვევს. უკან დაბრუნებისას დელეგაციას სროლა აუტეხეს. დაიჭრა დელეგაციის წევრი ავალიშვილი.

✦ **კერჩსა და თეოდოსიაში,** რომელიც გერმანელების ხელშია, არც ერთი ეროვნების ლტოლვილს არ იღებენ. სხვა ნავთსადგურებში მხოლოდ რუსს ლტოლვილებს იღებენ. „ანდრონსანი".

✦ **დონის-როსტოვი და ტაგანროგი** გერმანელებმა აიღეს. ყირიმის ნახევარ კუნძულის დაპყრობის შემდეგ გერმანელები კერჩიდან გადმოვიდნენ და ანაპა დაიკავეს.

✦ **იაკობ გამეზარდაშვილი.** დღეს, 12 მაისს, დილის 12 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი თავრიზში ვერაგულად მოკლული ექიმი იაკობ გამეზარდაშვილის სულის მოსახსენებლად.

✦ **თამარობა.** სამშაბათს, 1 მაისს (ახ. სტილ. 14 მაისს), წმ. თამარობის დღესასწაულს, დიდუბის ტაძარში მწირველები ბრძანდებიან მის უწმინდესობა სრულიად საქართველოს პატრიარქი, კათოლიკოსი კირიონის და მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი თფილელი მიტროპოლიტი ლეონიდი.

✦ **ქართულ გიმნაზიაში.** გამოცდები დაიწყება ორშაბათს 13 მაისს (ახალი სტილით) დილის ათი საათიდან.

✦ **თამარობა.** „განათლების" საზოგადოება ჩვეულებრივ წრეულსაც დღესასწაულობს თამარის დღეს. ქალთა სემინარიის ფონდის გასაძლიერებლად საჩაიე „ძმურ ნუგეშში" გაიმართება კონცერტი, ჩაი საუზმით. დიდუბის ეკლესიის გალავანში მოთავსებული იქნება პატარა ბუფეტი. „განათლების" საზოგადოება იმედოვნებს, რომ თამარები სახელწოდების დღეს არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს და ამით დიდ სამსახურს გაუწევენ ულარიბეს ქართველ ქალების აღზრდას.

✦ **ახალ ბაიაზეთიდან** იტყობინებიან: ბასარგეჩარს თათრებმა ალყა შემოარტყეს. მდგომარეობა საშიშია. საჭიროა დახმარება. წამოსვლა შეუძლებელია.

✦ **სად. ბარდიდან** სეიმის წევრი ჯავადოვი მთავრობას ატყობინებს, დაბა აგდამში (შუშის მაზრა) ბრძოლაა მცხოვრებთა და ყაჩაღებს შორის. მოკლული და დაჭრილი ორივე მხრით ბევრია. ბრძოლა გრძელდება, წესიერების აღსადგენად საჭიროა ჯარის გამოგზავნა. ბარდის ეროვნულმა კომიტეტმა 2 დელეგატი გაუგზავნა მალაშვილს ქიურდამირში დახმარების სათხოვნელად. გთხოვთ ჯარი გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ-ძალი მცხოვრები ამოწყვეტილი იქნება.

✦ **სად. უჯარიდან** ინჟ. კოზენკო ატყობინებს გზათა მინისტრს: ანარქია გრძელდება, საჭიროა არაჩვეული ზომები წესიერების დასაცავად.

✦ **ლტოლვილების მდგომარეობა.** ფოთიდან წყლის ტრანსპორტის კომისარი აბესომელიშვილი ატყობინებს მიმოსვლის მინისტრს: შავი ზღვის ყველა ნავთსადგურები კატეგორიულად უარს ამბობენ არა რუს ლტოლვილთა მიღებაზე. 3 ტრანსპორტი, რომლებიც 2 კვირის წინად ლტოლვილებით გაგზავნეს სხვა და სხვა ნავთსადგურებში დღემდე არც ერთ ალაგას არ მისცეს ნება ლტოლვილების გადმოსხმის და იარაღით ეწინააღმდეგებიან. ამის შემდეგ უაზრო იქნებოდა ნავთსადგურებში ლტოლვილებით ტრანსპორტების გაგზავნა, რადგანაც ნავთსადგურებში რისამე ყიდვის ნებასაც არ აძლევენ. ამ ჟამად ფოთში 400-მდე არა რუსი ლტოლვილია და 2000-მდე რუსი ლტოლვილი. რადგანაც აქ არ არსებობს არც საკვები პუნქტი, არც პური და არც მოწყობილია ბინა ლტოლვილთა მოსათავსებლად ყველანი ქუჩაში არიან. ლტოლვილთა შორის ტიფი და ყვავილი გახშირდა. ნავთსადგურის მიდამოები სავსეა ჭუჭყით, მდგომარეობა სახიფათოა, დაბეჯითებით გთხოვთ მიიღოთ ყველა ეს მხედველობაში და არა რუსი ლტოლვილნი არ გამოგზავნოთ. რუსის ლტოლვილებსაც ჯერ-ჯერობით ნუ გამოგზავნით, ტრანსპორტების მოძრაობის შესახებ ყველაფერს თავის დროზე შეგატყობინებთ.

✦ **ევლახიდან** ხას-მამედოვი დეპეშით სთხოვს მთავრობას განკარგულება გასცეს, რათა ჩქარა გამოუგზავნონ სურსათი და ბაქოს რაიონის მოსამსახურეები და მცველები დააკმაყოფილონ. ამასთანავე ატყობინებს მთავრობას, რომ ძეგამში უკვე აღმოაჩინეს 2 ქალის მომტაცებელი და ნამუსის ამხდელი. მოკლულია უფროსი მცველი მამედ ველიევი. დოვლიარ-ძეგამ-ქოვლიარის რაიონში წესიერების აღსადგენად საჭიროა გამოგზავნოთ ჯავშნოსანი მატარებელი; ჩვენი მატარებელი შესაკეთებელია. გამოგზავნეთ ამასთანავე ძლიერი რაზმი სამოქალაქო სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად. ხალხმა თავი აიშვა. მოსალოდნელია ექსცესები.

სოფლად და ქალაქად

ქ. ფოთი.

✦ სოც. ფედ. სარევ. პარტიის ფიჭჯანი ჩაის გამგეობამ შესწირა მეთოთხმეტე კავკასიის საპოზიციო ბატარეის 500 მ., რისთვისაც ბატარეის კომანდირი დ. ლიპარტელიანი და ჯარისკაცები უხვამ მადლობას უცხადებენ გამგეობას და ორგანიზაციას.

✦ სპეკულიაციის განვითარებას არავითარი რეპრესიული ზომები ვეღარ შველის. სურსათი ქალაქში ძნელი საშოვარი გახდა, ხოლო რუსეთიდან ჩამოტანილი პური, რომელიც კერძო ვაჭრებს ჩამოაქვთ, გირვანქა 3 მან. ფასობს, ფუთი ფქვილი კი 120 მ. სპეკულიაციის არც სასურსათო კომიტეტი ერიდება და რეკვიზიციით ჩამორთმეულ საქონელს, კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ცეცხლს უკიდებს. ქალაქის თვითმართველობას სასურსათო კომიტეტის ლიკვიდაცია ჯერ-ჯერობით არ უქნია და არ ჩაუბარებია თავის განკარგულებაში, ამიტომ სრული ანარქია და ჰაოსია ამ მხრით.

✦ ქალაქის თვითმართველობამ მორიგ არაჩვეულებრივ სხდომაზე, 8 აპრილს, ქალაქის გამგეობის წევრად აირჩია ერთხმით მიხა ესაკია (სოც. ფედ.) ასე რომ ქალაქის გამგეობა შესდგება სამი პირისაგან: გრ. ხოფერია (მენშევიკი) ა. კორძაია (ბოლშევიკი) და მიხა ესაკია (სოც. ფედერალისტი).

გორი.

✦ ქალაქის გამგეობა ქალაქის გამშვენიერებას შეუდგა და ეს იმით დაიწყო, რომ ქალ. ქუჩებში ყველგან ხეები დარგეს. რასაკვირველია ეს სასარგებლო და მოსაწონია, მაგრამ უმჯობესი იყო ჯერ ქუჩები გაეწმინდათ ნაგვისაგან, გაეწმინდათ წყლის არხები ეზოები და მერმე იმაზე ეფიქრათ, რომ ქუჩები ხეებით დაემშვენებინათ.

✦ ხალხი პურის მხრივ გაჭირვებას განიცდის და სააღდგომოდ ბაზარში მაინც ბლომად გაჩნდა პასკა. ქალაქის გამგეობა რომ ფხიზლად ყოფილიყო, პასკის გამოცხობა უნდა უეჭველად აკრძალულიყო, განა პასკაზე ფიქრი შეიძლება მაშინ, როცა ხალხს ლუკმა პური არ გააჩნია? ამას გარდა იყო, რომ ფასმა ერბოზე, კარაქზე, კვერცხზე საგრძნობლად აიწია.

✦ ამ ბოლო დროს ბაზარში საკმაოდ შემოდის ჭირნახული და გამოცხვარი პური, მაგრამ მამასისხლად იყიდება.

✦ როგორც იყო ეღირსა გორს შაქარი, მაგრამ თითო სულს მხოლოდ თითო გირვანქა შეხვდა.

სააღგილმამულო რეფორმა.

საგუბერნიო სააღგილმამულო კომიტეტის სესიამ დაადგინა ყველა სააღგილმამულო კომიტეტთან დაარსოს საგანგებო სააღგილმამულო კომისიები, რომლებმაც უნდა მოუარონ იმ მიწებს, რომელიც კომიტეტის განკარგულებაში გადმოდის. ამ მიზნით გამოყენებული იქნება ყოფილი მიწადმოქმედების სამართველოს სამეურნეო აპარატი ეს ზომა გამოწვეულია იმით, რომ ჩამორთმეული მამულები, რომლებშიც სხვა და სხვა ძვირფასი კულტურაა, ოხრდება და მცენარეულობა ლპება.

—

ტფილისის სააღგილმამულო კომიტეტი შუამდგომლობს გლეხთა საოლქო ცენტრის წინაშე—ნება მისცენ მის წარმომადგენლებს კიდევ დარჩნენ ადგილობრივ აგიტაციისათვის, რადგანაც უკანასკნელის შემწეობით რეფორმის განხორციელება ადვილდება.

—

ტფილისის სააღგილმამულო კომიტეტის მე-3 სესიამ აცნობა სეიმის სააღგილმამულო კომისიას, რომ მცხოვრებთა ზოგიერთი წრეები პროვოკაციულ მოქმედებას აწარმოებენ მიწის რეფორმის განხორციელების წინააღმდეგ.

მადლობა

გულითადს მადლობას მივუძღვნი ჩემისა და ბათომის პარტიზანული რაზმის სახელით ტფილისის, გორის, ჭიათურის, ზესთაფონის, ქუთაისის, სამტრედიის და ლანჩხუთის ამხანაგებს და ხონის ქალთა საზოგადოებას იმ სააღდგომო საჩუქრებისთვის, რომლებიც უხვად მოგვაწოდეს და მით მეგობრულად გული გაუთბეს ოჯახს მოშორებულ და პოზიციაზე მყოფ რაზმელებს.

ჩემ მოვალეობად მიმაჩნია ამასთანავე ღრმა მადლობით მოვიხსენიო ლანჩხუთის თვითმმართველობა და ჯუმათის კომისარი და [illegible] საზოგა-

დოება რომლებიც ყოველგვარ დახმარებას გვიწევდნენ რაზმის სხვა და სხვა საჭიროებისათვის.

ბათომის პარტიზანულ რაზმის უფროსი იოს. გედევანიშვილი.

ვ გამყრელიძის 30 წლ. სასცენო მოღვაწეობა

ქართველ მსახიობთა კავშირმა გადასწყვიტა მიმდინარე წლის ივნისში (ახალი სტილით) იდღესასწაულოს ოცდა-ათი წლის თავი სასცენო მოღვაწეობისა თვალსაჩინო ამხანაგის და წევრის **ვიქტორ მერაბის ძე გამყრელიძისა.** მართალია დრო ეხლა მეტად რთული და მწვავე გვიდგას, კერძო პიროვნებათათვის ისე აღარა გვცალია, მაგრამ მოჭირნახულის ამაგის დავიწყება არას დროს არა გვმართებს, მით უფრო ისეთი ჩუმი და მორიდებული მოღვაწისა, როგორიც ვ. გამყრელიძეა. საკმაოა გავიხსენოთ მის მიერ სცენაზედ საუცხოვოდ განსახიერებული თუნდა მხოლოდ ორი ქართველი ტიპი—სვიმონ ლიონიძე და ანანია, რომ ჩვენი გული მისდამი მადლობით აღივსოს იმ ჭეშმარიტ, აღმაფრთოვანებულ წუთებისათვის, რომლებიც მას განუცდევინებია ქართველ საზოგადოებისათვის, და ჩვენ იმედი გვაქვს ეს საზოგადოება შეძლების და გვარად გამოეხმაურება ჩვენს გამოძახილს. ამისათვის გთხოვთ 25 მაისამდე ახალის სტილით, შეგვატყობინოთ თუ როგორ და რა სახით მიიღებთ მონაწილეობას საყვარელ და დამსახურებულ მსახიობის მადლობის გადახდაში. თვით დღესასწაულის დღე, დრო და ალაგი თავის დროზედ გამოცხადებული იქნება გაზეთებში. ყოველი შემოწირულება და წერილები მიიღება შემდეგის მისამართით: ტფილისი, ქართული ქარვასლა, სასახლის ქუჩაზედ, ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის კანტორაში შალვა დადიანს.

ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო.

გლეხებს

გაგონილი გექნებათ, ამხანაგებო, რად დაივიწყეთ ომი ოსმალეთთან ხელმეორედ მაშინ, როცა ომი რუსეთში უკვე გათავებული იყო. ბოლშევიკებმა ძალით ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება, დაიწყეს ბატონობა და რომ ეს ბატონობა შერჩენოდათ ხელში, ზავი შეჰკრეს გერმანიასთან და ოსმალეთთან, ზავი სამარცხვინო და დამღუპველი რუსეთისათვის და ჩვენთვის, და რომ გერმანელებისა და თათრების გული უფრო მოეგოთ, პირველთ მიართვეს ძღვნად რუსეთის მთელი დაპყრობილი ადგილები და მთელი რუსეთი ეკონომიურად გერმანიას დაუმონეს, ხოლო თათრებს შესთავაზეს საქართველოს საუკეთესო, მდიდარი და მადლიანი ნაწილი—ბათომი და ბათომის მხარე. რა, გული შესტკიოდათ თუ დოვლათი ეცარებოდათ! ოფლით ჰქონდათ მორწყული ჩვენი ქვეყანა თუ სისხლი ჰქონდათ ჩაქცეული! თათარმა ძღვენი სიხარულით და მადლობით მიიღო და ან რატომ არ მიიღებდა. ჩვენი ჯარი ღრმად იყო შეჭრილი ოსმალეთის გულში და დღეს-ხვალ საზრთხე მთელს სახელმწიფოს მოელოდა და ბოლშევიკების წყალობით კი არა თუ სათათრეთის მიწა წყალი თავისუფლდებოდა ჩვენი ჯარისაგან, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო და დიდ ნაწილსაც უფასოდ, უშრომლად იღებდა საჩუქრად. და თათარმაც სიხარულით გამორეკა ჩვენსკენ თავისი მშიერი და შიშველი ჯარი. შემოიჭრნენ ჩვენს მიწა-წყალზე და ვინ იცის რა უბედურება და განსაცდელი მოგველოდა. რაკი რუსეთში გაბატონებული იყვნენ ბოლშევიკები და იქ ძალადობის, ძარცვა გლეჯის, მკვლელობისა და ჩაგვრა მონობის მეტი არაფერი ხდებოდა და რუსის ჯარმაც თავის ნებით მიგვატოვა. მტერს მიგვცა ხელში და თვითონ შინისაკენ გაეშურა, ჩვენ იძულებული ვიყავით, რომ ბოშევიკების მუშტი და მათრახი არ გვეწვნია, ჩამოვშორებოდით რუსეთს და უპატრონოდ დარჩენილებს ჩვენვე მოგვევლო ჩვენი თავისთვის, არ შეგვეშვა მტერი ჩვენს მიწა-წყალზე და მოყვრისთვისაც ჩვენვე გაგვეცა პასუხი. ამიტომ იძულებული ვიყავით ჩვენი მთავრობა შეგვედგინა ტფილისში, შეგვედგინა ჩვენი საკუთარი ჯარი და მტერს შევბრძოლებოდით. და აკი ასეც მოხდა. ჩვენ ეხლა ჩვენი მთავრობა გვყავს და ჩვენი ჯარი წინ უდგია თათარს, რომელიც მზად არის შემოიჭრას ჩვენს ქვეყანაში და ყველანი დაგვიპყროს და დაგვიმონოს. ძალიან ბევრი სამუშაო კი აქვს ჩვენს მთავრობას. უნდა ახლად მოაწყოს ყველაფერი, უნდა რიგიანი მართვა-გამგეობა შემოიღოს, რომ ხალხი არ იჩაგრებოდეს და არ იტანჯებოდეს ძალმეზურად, უნდა ფული გამონახოს, გლეხებისა და მუშების უზრუნველყოფაზე იფიქროს. სხვა სახელმწიფოებთანაც დაიჭიროს კავშირი და არც არავინ დაიჩაგროს, არც არავის დაეჩაგრინოს, მტერსაც გასცეს პასუხი და მოყვარესაც, შინაც იყვეს და გარედაც. ხალხსაც უპატრონოს და ჯარსაც მიაწოდოს ჩასაცმელი, დასახური, საკვები და ტყვია-წამალი. მთავრობა ვერაფერს გააკეთებს, თუ ჩვენ ყველამ არ გავუწოდეთ ხელი და არ დავეხმარეთ ისე, როგორც შეგვიძლიან. იარაღის, ტყვია-წამლის მხრივ ჯარს თვითონ მთავრობა უზრუნველჰყოფს, მაგრამ ჩვენ უნდა დავეხმაროთ, რომ ჯარს დროზე ჰქონდეს პური, წყალი, ლობიო, მჭადი, საცვალი, ჩასაცმელი და დასახური. მთავრობა ამ მხრივაც ხალხს არ შეაწუხებდა, მაგრამ ხომ იცით—პური აქამდე ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოჰქონდათ და იმით მივდიოდით იოლად, ეხლა კი იქ ბოლშევიკები არიან ბატონად და ისინი ჩვენსკენ პურსა თუ სიმინდს აღარ უშვებენ, უნდათ შიმშილით გაგვტეხონ, მოგვლუნონ წელში და აქაც წამოგვესხდნენ კისერზე. და თუ ეს არ გვინდა, უნდა ჩვენს ჯარს ჩვენვე დავეხმაროთ ჩვენი ღარიბი შეძლებით, შევიკავოთ თათარიც, ბოლშევიკიც და არ მივცეთ საშუალება ჩვენს ქვეყანაში ცეცხლი და მახვილი დაატრიალონ. ვიღაცას უთქვამს—დაილოცა მღვდლის ხურჯინი, რომ რაც უნდა ცარიელი იყვეს, პურის ნატეხი მაინც სადმე იქნება კუნჭულში მიჩეჩილიო. მე კი ვიტყვი, დაილოცა გლეხის გოდორი, რომ რაც უნდა ცარიელი იყვეს, ერთი მუჭა ხორბალი თუ ფქვილი მაინც სადმე კუნჭულში ეყრება. და რომ ყველამ აქედან მცირედი მივაწოდოთ ჩვენს ჯარს, იმას მეტიც აღარ უნდა, აკი კიდეც შეუდგნენ ზოგან სანოვაგის მოგროვებას. ქალები დადიან ქალაქში, დადიან სოფლად ოჯახ-ოჯახ და ვის ცოტაოდენ ფქვილს ართმევენ, ვის ხორბალს, ვის მჭადს, ლობიოს, მუხუდოს; აცხობენ პურს, უკერავენ ჩასაცმელსა თუ დასახურს და ყველაფერს ჯარისაკენ აგზავნიან. სოფლად, გლეხები თითქმის ყველანი სიამოვნებით იძლევიან დახმარებას, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც ამ საქმეს იჭვის თვალით უცქერიან და დახმარების ხელი უკან მიაქვთ. აი, მაგალითად, სოფ. [illegible], როცა სურამიდან ავიდნენ მანდილოსნები ტომრებით ხელში და სანოვაგეს აგროვებდნენ, ერთი გლეხის, ვინმე კიკაძის ოჯახიდან არაფერი მისცეს—სულ ერთია, კიდეც რომ მოგცეთ, ეგ ისევ აქ დარჩება და ჯარამდე ვერ მიაღწევსო. რასაკვირველია, ყველა თავისუფალია და ყველას შეუძლიან თავისი აზრი იქონიოს, მაგრამ მაინც ვინც ასე იფიქრებს, ის ძალიან შემცდარი და მოტყუებულია. მართალია, ესა ხდებოდა წინად. ხშირად ფულს, სანოვაგეს, ჩასაცმელსა თუ დასახურს უგროვებდნენ ჯარს და... მას მხოლოდ მცირე ნაწილი მისდიოდა, დიდი ნაწილი კი სადღაც, ვიღაცის ჯიბეში ჰქრებოდა, მაგრამ ხდებოდა ეს იმიტომ, რომ ძველ მთავრობას ჯარის გამოკვების სათავეში საეჭვო, ქურდი, ლოთი, გარყვნილი ხალხი ჰყავნდა მოხელეებად ჩაყენებული, რომელნიც შიშველი და მშიერი ჯარისკაცისთვის შეგროვილ ფულსა თუ სანოვაგეს აქვე იპარავდნენ, ჰფლანგავდნენ და ანიავებდნენ. მაგრამ ჩვენს მთავრობას ყველა სანდო ხალხი ჰყავს ყველგან ჩაყენებული, ყველას ადევნებს თვალს და კიდეც რომ ვინმემ განიზრახოს ბოროტის ჩადენა და ჯარისათვის დანიშნული ფულის თუ სანოვაგის მისაკუთრება, უმალ სტაცებენ ქეჩოში ხელს და სამარცხვინო ბოძისაკენ გაისტუმრებს. ამიტომ მეტის ნდობით უნდა მოვეპყრათ ყველას, ვინცა ზრუნავს ჯარისთვის, და ან რატომ არ უნდა მივაწოდოთ ჯარს ჩვენი წვლილი? იქ ხომ ჩვენი შვილები არიან, ჩვენი ძმები, მამები, მეგობრები, ნათესავები, ებრძვიან მტერს და იცავენ ჩვენს მამულს, ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს სახლსა და კარს, ჩვენს ცოლ შვილსა და დოვლათს. წინად კიდევ სხვა იყო. ჩვენი ჯარისკაცები იბრძოდნენ შორს, შორს, ცხრა მთას იქით, გერმანიის, ავსტრიის თუ ოსმალეთის მიწა-წყალზე, იბრძოდნენ გარყვნილ და სისხლის მწოველ მთავრობისათვის, რომელიც თავისას არა სჯერდებოდა და სხვის ქონების და დოვლათის წართმევა, სხვა ერთა დამონება ჰსურდა, ჯარის სისხლითა და ძვლებით აშენებულ კვარცხლბეკზე უნდოდა თავის ბატონობის განმტკიცება. ჩვენი მთავრობა კი არავის არაფერს ედავება, არავის არაფერს ართმევს, მაგრამ არც არავის უნდა დაუთმოს თავისი ერი და მიწა-წყალი, არ უნდა არავის დაჩაგვრა და დამონება, პირიქით, უნდა არავინ არავის არაფერს ედავებოდეს და არა სტაცებდეს, ყველგან იყვეს მშვიდობა და ძმობა, თავისუფლება და ერთობა, სიყვარული და თანხმობა... და ვინც მთავრობას ამაში ეთანხმება, უნდა სცდილობდეს კიდეც გასაჭირში ამ მთავრობას დაეხმაროს, უნდა სცდილობდეს შეუწყოს ხელი ჩვენს ჯარს დაიცვას ჩვენი სამშობლოს საზღვრები და მშვიდობიანობა.

გლეხებო, ძმებო, მოქალაქენო, მამულიშვილნო, სამშობლოს უდიდეს გასაჭირის დროს წაუმართეთ მთავრობას და ჯარს ხელი თავიანთ წმიდა საქმეში, გამოიღეთ თქვენი წვლილი ვისაც რით შეგიძლიანთ—ფული, თითო ჯამი ფქვილი, ხორბალი, ლობიო, მუხუდო, კართოფილი და სხვ. დაეხმარეთ ჩვენს ჯარს, თუ გინდათ მტერი ჩვენს მიწა-წყალზე არ შემოიჭრას და ცეცხლს არ მისცეს ჩვენი სახლი და კარი, ჩვენი ქონება და დოვლათი; თუ გინდათ ჩვენი თვალით არ ვიხილოთ ჩვენი დედისა და ცოლის, შვილისა თუ ძმის სისხლი, გაუპატიურება, გაუბედურება და გასაჭირი!..

სანგანიძე.

სიტყვა.

ნადსონიდან

ოჰ! რომ მუზა მომიძღვნიდეს
ცეცხლის სიტყვას, ცეცხლურ გრძნობას,
რა სიმკაცრით რა სიშმაგით
დავსწყევლიდი შურს და მტრობას!
ყველას ფეხზე წამოვყრიდი
დასათრგუნად ბნელ წყვდიადის,
მე გავშლიდი წინსვლის დროშას,
დროშას წითელ განთიადის,
ავუხელდი ყველას თვალებს
შვების ცრემლით დავუწვავდი
დავიწყებულს კაცთ იდეალს
დიდების ჰანგს შევუთხზავდი.
მთელ სამყაროს შევარყევდი
ცეცხლის სიტყვით, ცეცხლურ გრძნობით,
ბრძოლის ველად გავიხდიდი
მიძინებულს მრავალ წლობით
და ქვეყანას,—ხალხს წამებულს
შთავბერავდი წინსვლის რწმენას,
ვასწავლიდი დიად ბრძოლას,
სიხარულს და აღმაფრენას...
მაგრამ ჩემი ხმა სუსტია
ის ვერ სწვდება დიად აღთქმას...
მსურს ვიბრძოლო... მაგრამ ძალა
ვერ ასრულებს ჩემს გულისთქმას.
და ვსტირი მე, რომ ვარ სუსტი,
ულონო და უსუსური
და ჩემს ზრახვებს ახრჩობს ცრემლი
ღია თვალით დანაწური...

ი. ვადაჭკორია.

უკრაინა და რუსეთი

მოსკოვი. 9 მაისი. („ანდონსანი"). საწრაფო. ყველას. სარატოვის ცარიცინი. ტიხორეცკაია, დეპუტატთა საბჭოს; როსტოვი, დეპ. საბჭ.; ნოვოჩერკასკი, დეპ. საბ.; კავკასიის სტავროპოლი, დეპ. საბ.; ყუბანის ეკატერინოდარი, დეპ. საბ.; ვორონეჟი, სამხედრო სარევ. კომიტეტი, ჩერნიავინს; კურსკი, სამხ.-სარევ. კომ. გლაგოლევს; ბრიანსკი, სამხ.-სარევ. კომ., სიტინს; კალუგა, სამხ.-სარევ. კომ., გრიგორიევს; პეტროგრადი, სამხედრო საბჭო და სამხ.-სარევ. კომ., შვარცს; მოსკოვი, სამხ.-სარევ. კომ, ბაიკოვს; კურსკი, საზავო დელეგაცია, რაიკოვსკის; სარატოვის ცარიცინი, ტრიფონოვს.

რუსეთის რესპუბლიკის მთავრობა თანახმად ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-შეკრულებისა შეუდგა ზავის შეკვრას უკრაინასთან. ვორონეჟის, კურსკის და ბრიანსკის ფრონტებზე საომარი მოქმედება შევწყვიტეთ და დავაწესეთ დროებითი სადემარკაციო ხაზი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის განმარტებით დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ დღეებში ჩვენი დელეგაცია შეხვდება გერმანია-უკრაინის დელეგაციას და ზავიც შეკრული იქნება. ყველა ფრონტის გასწვრივ სადარაჯო ნაწილებია ჩაყენებული, რომელიც არ უშვებს რუსეთის ტერიტორიაზე არავითარ შეიარაღებულ რაზმს; მიუხედავად ამისა მტრის ზოგიერთმა რაზმმა ცენტრალური მთავრობის ბრძანება დაარღვია, გადალახა უკრაინის საზღვრები და დონის ოლქში შეიჭრა. უმაღლესი სამხედრო საბჭო აუწყებს დონის, ყუბანის და სხვა მეზობელ ოლქების ყველა სამხედრო უფროს და დაწესებულებას, რომ შეიარაღებული რაზმები, რომელნიც უკრაინის საზღვარს აქეთ მოდიან ბანდებს წარმოადგენენ, და, თუ ისინი უარს განაცხადებენ იარაღის დაყრაზე, დაუყოვნებლივ უნდა იქმნან გარეკილი ძალით. რომ უფრო გარკვეული იყოს აქ ბანდებთან ბრძოლის საკითხი, ვბრძანებთ: 1) სამხედრო წესები გამოცხადდეს დონის და ყუბანის ოლქებში, 2) დაყენებულ იქმნას სადარაჯო ნაწილები იმ საზღვრებზე, რომელთაც ემუქრებიან: აქ საჭიროა სახელმძღვანელოდ ჰქონდესთ საველე სამსახურის წესდება, 3) სადარაჯო ნაწილების მოქმედების შესახებ პასუხს აგებენ სამხედრო უფროსები და კომისარები, 4) დაცულ იქმნას სასტიკი დისციპლინა ყველა სამხედრო ნაწილში, 5) აცნობეთ უმაღლეს სამხედრო საბჭოს აქ გაცემულ განკარგულებების შესრულების შესახებ და სწორი ცნობები მოაწოდეთ ბანდების მოძრაობაზე და აგრეთვე ადგილობრივი მთავრობის მიერ მიღებულ სამხედრო ზომების შესახებ.

უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე: **ტროცკი.**

უმაღლეს სამხედრო საბჭოს წევრები: **პოდვოისკი, კ. მეხონი.**

სამხედრო ხელმძღვანელი:
ბონჩ ბრუევიჩ.

რეგულიარულ ჯარის და ქართველი ერის თვისებები *)

VI.

შიში.

საინტერესოა ჩვენის აზრით აქაც ავღნუსხოთ ადამიანის კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება. სახელდობრ შიში, რადგან იგიც შეადგენს ჯარის კუთვნილებას. შიში არის მღელვარება, პირველად, ნელ-ნელ აშფოთებს სულს, მერმე სრულიად კლავს მას და ბოლოს კი აშეშებს ადამიანს. მოქმედობს ისე როგორც ალკოგოლი. შიშის გავლენით ადამიანი შეუძლებელს ჩადის, შიშის დროს ჯარებს მეტად დიდი მანძილის გავლა შეუძლიათ და მასთან ძლიერ ჩქარა, რასაც სხვა პირობებში თავის დღეში ვერ შესძლებდნენ. ტყუილად არ არის ქართულად ნათქვამი „შიში მაჩვენეო და გაქცევას გიჩვენებო". შიში სხვა და სხვანაირია რასისა და პიროვნულ თვისებების მხედვით.

შიში იცვლება მდგომარეობითაც. ესპანელები ამბობენ: „არვის შეუძლია დაიჩემოს, მამაცი ვარო, შეუძლიან მხოლოდ სთქვას, რომ მამაცი ვიყავიო". აქ იგულისხმება ის, რომ ყველას შეიპყრობს შიში სხვა და სხვა მდგომარეობაში, მაგრამ ვისაც ეს მდგომარეობა არ დადგომია, შეიძლება სულ ადვილად დაუდგეს. პროფესორი მოდიუ ამბობს: „თვით გამოჩენილს მამაცს შეუძლია სძლიოს განსაზღვრული საშიში მდგომარეობა ხოლო თუ საზღვარი გადალახა, მაშინ შიში ზეიმობსო!" ფიზიკურ მდგომარეობასაც აქვს მნიშვნელობა, მაგალითად სიმშილს, უძლურობას, სისხლის დაკარგვას და სხვ. დამტკიცებულია გამოცდილებით, რომ დაქანცულ ჯარში უფრო ხშირია „პანიკა". ხშირად შიში საფრთხით კი არ არის გამოწვეული არამედ მისი წარმოდგენით—აქედან ცხადია, რომ ის ერი, რომელსაც მეტად ცხოველი ფანტაზია აქვს და მგრძნობიერია მეტს სიმხდალეს იჩენს, ყოველთვის ბრძოლის დასაწყისში. გამოუცდელი ჯარი, რომელიც არ იცნობს საფრთხეს უფრო კარგად იწყებს ბრძოლას, მაგრამ ათავებს უფრო ცუდად, ვიდრე გამოცდილი. შიში მოქმედობს ტვინზე და ამიტომ თუ ამ დროს ის რამე სხვა საგნით არის გართობილი. შიში დიდ ხანს ვერ იპყრობს. ამისათვის სუფევს ჯარში გასართობები. ამით აიხსნება ისიც რომ ერთ ადგილას გაჩერებული უსაქმოდ ჯარი უფრო მხდალია ვიდრე ჯარი მოსიარულე ან მსროლავი. ისტორიამ იცის ბევრი მაგალითი, როდესაც ნიჭიერი სარდლები ამას ანგარიშს უწევდნენ და თავიდან აიცდენდნენ ხიფათს, მაგალითად მე-8 პლევნის დროს ლეიბ—ეკატერინოსლავის პოლკმა რომ უკუიქცია პირი, სკობელევმა მოუყარა თავი და თოფის აღებ დღება უკამანდა. აგრე მოიქცა ნაპოლეონის გამოჩენილი სარდალი დავუც. თუ შიშმა მიაღწია უკიდურეს საზღვარს მაშინ ისე უკარგავს გონებას ჯარისკაცებს, რომ გაქცევასაც ვერ ახერხებენ და მოსაკლავად ნებდებიან მტერს. ამ შემთხვევაში შიში ბოჭავს მათ ტვინს-გონებას სპობს მას, ყურადღება ეკარგებათ და ძნელია მისი აღდგენა, მხოლოდ ამ დროს მათ რჩებათ უნარი რეფლექტიურ (ავტომატიურ) მოქმედებისა, როგორც გონებრივისა ისე ფიზიკურისა. აქ კვლავ ცხადია, თუ რამდენად მარგებელია ჯარისკაცისთვის წინდაწინ მოპოვებული გაწრთვნა. თავის იმედი, ზიზღი მტრისადმი, მოვალეობის შეგნება, აღფრთოვანება ამცირებს შიშს, მაგრამ „მოვალეობის შეგნება თავგანწირულებამდის მიყვანილი არის გრძნობა ძლიერ მაღალი და ამიტომ იშვიათიო. აღფრთოვანება, ენტუზიაზმი არის გრძნობა ძლიერი და ამიტომ იშვიათიო", ამბობს პრ. მოდიუ გაჭირვების და განსაცდელის მიჩვევა ქმნის ადამიანს უფრო მამაცად, რადგან მან ერთხელ უკვე დაამარცხა გაჭირვება და ფიქრობს, რომ ჩვეულებისამებრ კიდევ დავამარცხებო. იგიც ერთი თვალსაჩინო მხარეა ძველი გამოცდილი ჯარის უპირატესობისა. ამ გამარჯვების ჩვეულებითაც აიხსნება გერმანელების სიმამაცე და მისი დამყოლი სიამაყე. მათ არა ერთხელ გაიმარჯვეს ამ ომში, მათი მოწინააღმდეგენი კი არა ერთხელ დამარცხდენ, ამიტომ მორალური, ზნეობრივი მხარე გერმანელებში გაცილებით უფრო ძლიერია. ამ მორალურ მხარეს კი ომში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ნაპოლეონი ამბობს: „$3/4$ გამარჯვებისა ომში, დამოკიდებულია, ჯარის მორალურ მდგომარეობაზეო". ნათქვამია აგრეთვე სხვა სამხედრო ავტორიტეტებისაგან, „რომ ომში ერთი მეორეს უფრო მორალური ძალები ეკვეთებიან ვიდრე ფიზიკური და ვინც უფრო ძლიერი გამოდგება ამ მხრით, ის გაიმარჯვებსო". **ერთი სიტყვით თავმოყვარეობა, ხურვალი თავის გამოჩენისა, შიში დასჯისა, გაკიცხვისა სირცხვილი, გამოცდილება, გაწრთვნა, თავის იმედი, რწმენა თავის იარაღის ჯობნისა, ჩვეულებად გადაქცევა იმ მოქმედებისა, რომელიც ომში მოუხდება, მამაცობის დაჯილდოვებით, ნდობა ამხანაგებისადმი კარგი მაგალითი პირადი უპირატესობის შეგნება—ყოველივე ეს ჩვენის აზრით ამცირებს, ასუსტებს შიშს და ჯარის კაცი ამის მეოხებით ხდება მამაცი.** ამ ღირსებათა განვითარება და შეძენა შეიძლება სამხედრო ნაწილში, მხოლოდ ამისთვის სუფევს ის.

VII.

ბრბო.

ყოველი რეგულიარული ჯარი შესდგება სამხედრო ნაწილებისაგან ე. ი. ერთეულებისაგან, რომ უკეთ შეიძლებოდეს მათი გაწვრთნა და მოხმარება. სამხედრო ნაწილი კი წარმოადგენს ორგანიზაციით შეკრულს და მოწესრიგებულ ბრბოს. რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ სამხედრო ნაწილის თვისებებზე, საჭიროა ჯერ გავეცნოთ ბრბოს. ლე-ბონის აზრით ბრბო კოლექტიური არსება არის და მასთან მთლიანი, თუმცა ის კრებულია ადამიანების, მაგრამ შემადგენელ წევრების შეერთების ჯამს არ წარმოადგენსო და ამ მხრით მისი განსაზღვრა შეცდომა იქნებოდაო. ბრბოს აქვს თავის თვისებები, თავის ჭკუა და თავის შთაბეჭდილებანი—ის ნამდვილად ცოცხალი არსებააო; იგი შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ქიმიურ შეერთებას და არა მექანიკურსო.—ბრბო ახალი არსებაა". მართლაც, მოხვდებით თუ არა ბრბოში, ჩვენ ვკარგავთ პირად „მეს" და მაგიერად ვღებულობთ ბრბოს ნაწილის სახეობას. ბრბოს ნაწილად გადაქცევა შეიძლება, მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანში სუფევს საერთო რამ იმ ხალხთან, რომელშიაც იმყოფება. იქვე ვკითხულობთ: „ბრბოს გონიერება და ჭკუა უფრო ნაკლებად აქვს განვითარებული, ვიდრე ცალკე აღებულ მის შემადგენელ ადამიანებსო. ბრბო შორდება ლოღიკას და შეგნებას მით უფრო, რაც ის სხვა და სხვანაირ ელემენტებისაგან შესდგება და რაც უფრო შორს წავიდა თავის მოქმედებით". მართლაც ადამიანმა, რომ გაიგოს მსჯელობა, საჭიროა მისთვის ყურადღება, ბრბოში კი ეს ძნელია და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მას ხშირად ლოღიკურ დასკვნით და მსჯელობით ვერ შეარყევ. ნაპოლეონი ბრბოს მისამართად ხმარობდა ყოველთვის ორ რიტორიულ ფორმას: დამტკიცებას და განმეორებას. ის არ უხსნის ჯარს მის უპირატესობას მტერზე და არ უმტკიცებს გამარჯვების აუცილებლობას, არამედ სულ უბრალოდ მას უმტკიცებს, როგორც მომხდარ უკვე ამბავს, ლამაზს და ბრწყინვალე ფორმებით ანათებს და ასურათხატებს გამარჯვების შედეგებს. შთაბეჭდილების ძალას, ლამაზ და ეფექტიურ სიტყვებს უფრო მეტი გავლენა აქვს ბრბოზე, ვიდრე ცალკე მის წევრზე. ეს აიხსნება კიდევ იმ გარემოებით, რომ მაგალითი გადამდებია, წაბაძვის კანონის ძალით, ვინმე წამოიძახებს ან და ტაშს დაუკრავს და მას მოჰყვებიან. სუფევს ჰიპოტეზა, რომელიც ამ ბოლო დროს გასინჯულია მეცნიერულად, რომ ადამიანიდან გამოდის ფლუიდები, რომლებსაც მოყავს მოძრაობაში ისეთივე ფლუიდები მის მსგავს ადამიანებში; ის მოქმედობს, ვით ელექტრონის ინდუქცია. როგორიც არ უნდა იყოს ახსნა, ფაქტი რჩება ფაქტად, რომ გრძნობა და ვნება ბრბოსი გადადების მიზეზით უფრო ძლიერია, ვიდრე ცალკე პიროვნებისა. ძლიერ გადამდებია მამაცობა და შიშიც ბრბოში, მხოლოდ მართლა განსაკუთრებულ აბსოლუტიურ მამაცობის მქონე კაცს შეუძლია შეინარჩუნოს ვაჟკაცობა, შიშით თავზარ-დაცემულ ბრბოში. მაგალითად ცეცხლის დროს თეატრში ან სხვა საზოგადო ადგილებში, შიგ მყოფი ხალხი კარგავს თავს და მხოლოდ ერთს ფიქრობს—როგორმე გადაირჩინოს თავი, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს. ბრბო გრძნობს ყოველთვის თავის ძალას და ამიტომაც სთვლის თავის თავს ყოველთვის მართალად; ვერვინ უნდა გაბედოს მის წინააღმდეგ გამოლაშქრება, რადგან მას ჰგონია ის ბოროტ მომქმედია—ვინაიდან ყველას წინაღმდეგ მოდისო. ამ გარემოებით აიხსნება, რომ ბრბო ყოველთვის მტარვალია და მკაცრი. რადგან ბრბო მოქმედებს შთაბეჭდილების გავლენით, ცვალებადია ისე, როგორც შთაბეჭდილება. აღტაცებული ერთი მაგალითით, მას ძალუძს უცბად იცვალოს ფერი და კვლავ აღიტაცოს სხვა მოვლენით და ჩაიდინოს სრულიად წინააღმდეგი იმისა, რაც წინად მოიქმედა და ჭეშმარიტად მიაჩნდა. შეიარაღებულ ბრბოს აქვს უნარი გმირულ მოქმედებისა, მაგრამ ეს გმირობა ყოველ სასურველ წამს შეიძლება გადიქცეს „პანიკად". ბრბოს როგორც ვსთქვით არ აქვს ნიჭი ლოღიკურ აზროვნებისა და მოძრავია, მხოლოდ წარმოდგენით, ამიტომ არის, რომ ცრუ საფრთხის შიშის გავლენა ექვემდებარება, როდესაც ის აღელვებულია და თავის ძალის დიდ წარმოდგენის არის, მაშინ შეუძლიან წინ-დაუხედავად ეკვეთოს მტერს პირდაპირ გულით შემუსროს ის ან და გაისრისოს თავი, მაგრამ თუ ცოტათი ეჭვი შეეპარა, გაიფიქრა რამ ამნაირი, იმ წამსვე იცვლება და უთმობს ადგილს ცრუ საფრთხის გრძნობების გამეფებას. ამიტომაცაა, რომ უორგანიზაციო ბრბო ან და ბრბოდ ქცეული ჯარის ნაწილები გარბიან და იხოცებიან, როგორც დაიყვირებენ ხოლმე „არიქა მოგვიარესო". ბრბოს შეუძლია იბრძოლოს მხოლოდ ციხის კედლებზე, ან ქალაქის ქუჩებში სახლებში ჩამჯდარს, და როდესაც დარწმუნებულია, რომ მტერი არ შემოუვლის. ბრძოლა ველში სადაც საჭიროა მოძრაობა—მანევრი მათთვის შეუძლებელია ბათომის ბრძოლებში ერთი მონევრი არ იყო შესრულებული. ბრბოს შეუძლია ბრძოლა ბრბოსთან. მას ყოველთვის ყავს თავისი მეთაური, კერპი, უმისოდ მოქმედება არა შეუძლია. მეთაურად ყოველთვის გამოდის ისეთი წევრი, რომელიც ყველაზე უფრო მეტად გამსჭვალულია მისი ვნებით, კარგად იცნობს მას, მოხერხებულად

---

*) იხ. „სახალხო საქმე" 228.

თვალთმაქცობს და ზედ მიწევნით განზრახ შესწავლილი აქვს თუ როგორი საშუალებით აალელვოს ბრბო. ბელადისათვის არ არის საჭირო მაინც და მაინც დიდი სწავლა, მას ერთი უნდა ქონდეს აუცილებლად, ძლიერი ბუნება, ფლუიდი, ჰიპნოტიზმი, შეძენილი ან და ბუნებრივი ავტორიტეტი. მას უფრო ადვილად შეუძლია ბრბო წაიყვანოს წინ ვიდრე შეაჩეროს ან და უკან დააწევინოს. როდესაც მეთაურს მიყავს ბრრბო წინ, თვითონ მისდევს უკან. ბელადის ბატონობა არ არის დიდხნოვანი, რადგან ბრბო ჰინჰყლია, ცვალებადი, თავის ძალის დიდი წარმოდგენა აქვს და თუ შეხვდა მას უფრო ძლიერი წინააღმდეგობა, წამსვე მზად არის გაამტყუნოს თავის ბელადი და დასწამოს ღალატი. ასეთია მოკლედ, რომ ვსთქვათ, ბრრბოს დადებითი და უმეტესად კი უარყოფითი მხარეები. ყველა ამას ანგარიშს უწევს სამხედრო მეცნიერება და ცდილობს ჯარის ნაწილში შეამციროს ბრრბოს უარყოფითი თვისებები და განავითაროს ღირსებანი.

კაპიტანი ქუთათელაძე.

რუსი ლტოლვილები

ამიერკავკასიის რუსების ეროვნულ საბჭოს ლტოლვილთა განყოფილებაში ცნობები მოდის, რომ ყარსის ოლქის და ერევნის გუბ. რუსი მცხოვრებლები მიდიან ამიერკავკასიიდან ფურგუნებით და მთელი ქონებით: მრავალ ჯოგსა და ქონებას ჩალის ფასად ჰყიდიან. გუმბრსა და ყარსს შუა რკინის გზის სადგურებზე 4500 ლტოლვილამდე შეგროვდა და ვაგონებს უცდიან. ლტოლვილთა განყოფილებამ ზომები მიიღო, რომ გაუადვილოს რუს ლტოლვილებს ამიერკავკასიიდან წასვლა. ამისათვის კარაკლისის სადგურზე საგანგებო აგენტი გაგზავნა რუსების ეროვნულმა საბჭომ. ფოთშიაც გაიგზავნება აგენტი ლტოლვილების გემებზე მოსათავსებლად.

რადგან ლტოლვილები განსაკუთრებით ყუბანისა და თერგის ოლქებში მიემგზავრებიან, რუსების ეროვნულმა საბჭომ დაადგინა გაგზავნოს ამ ოლქებში დელეგაცია, რომელიც დაეხმარება ლტოლვილებს მიწების მოძებნასა და ყიდვაში.

ამ ჟამად რუს ლტოლვილთა რიცხვი 75—100 ათასამდეა. **მუღანიდან** გადასახლდა 40 სოფელი, **ყარსის ოლქიდან**—18 სოფ. (ოლინცოვო, ნოვო-პეტროვკა, ვლადი-ყარსი, ნოვო-დუბოვკა, პლოდოროდნოე, პეტროპავლოვკა, ნოვო-მიხაილოვკა, მალო-ვორონცოვკა, ნოვო ვორონცოვკა, როდიონოვკა, ბლაგოდარნოე, გოლიცინო, ჩუგუევსკოე, ნოვო-ესტონსკოე, ნოვო-ნიკოლაევკა, პროხლადნოე, გრენადერსკოე და ნოვო-სელიმი), ერევნის გუბერნიიდან—7 სოფ. (ბოზორჩაი, არაზდაინი, ბორისოვკა, ელენოვკა, ქვემოახტი, „სუხოი ფონტან“ და სემიონოვკა. განჯის გუბერნიიდან—8 სოფ.: ალექსეევკა, ვასილიევკა, ლვოვკა, ფრეზევო, ნოვო-სარატოვკა, ვოიეიკოვო, ტატიანოვკა და მიხაილოვკა; ტფილისის გუბერნიიდან—8 სოფელი: მალხაზოვკა (ტფილისის მაზრის), ივანოვკა (დუშეთის მაზრა), ნიკოლაევკა, მაკაევკა, ნოვო-ალექსანდროვკა, სვეჩინო, დაშკოვო და ნოვო-ვორონცოვკა. ნოვო-ალექსანდროვკაში მის მიდამოებში მცხოვრებმა ქართველებმა 400 დესეტინა მოხნეს, რომელიც ამ სოფელს ეკუთვნოდა და სვეჩინოში 1000 დესეტინა.

„ბრძენ პოლიტიკოსებს“.

უცნაური დამცველები ჰყავსთ ჩვენს მენშევიკებს. რა გინდ არ გადატრიალდეს ჩვენი ცხოვრების ჩარხის ბორბლები, რა გინდ ცვლილება თუ განახლება არ მოხდეს ჩვენს საზოგადოებრიობაში თუ პოლიტიკურს ცხოვრებაში და თუ ამასთანავე ამ ცვლილებას ეტყობა რაიმე ნიშან-წყალი მოვლენისა, იმედისა, მენშევიკთა მიმდევრები მოებლაუჭებიან მას, მიითვისებენ და ხალხში იმ დალაგებული აზრებით გამოდიან; თითქოს ამას დიდ ხანს მუცლიდან აღიარებდნენ, მას ეთაყვანებოდნენ, მისკენ ილტვოდნენ.

ასეთი მათი მიდრეკილება რევოლუციის წინაც თვალსაჩინო იყო ყველასათვის, მაგრამ მას შემდგომ, რაც მათ დაიწყეს „გაღრმავება“ რევოლუციისა, ეს მიდრეკილებაც გააფართოვეს, გააღრმავეს თავის წრეში. შეიძლება ამა თუ იმ ფორმის თუ დებულების მიღება, მაგრამ მიღებაც უნდა იყოს და მიღებაც. დღეს რომ იძახოთ: „ეს ცუდია“, „ეს ჩვენი დამღუპველია“, რევოლიუციონური დემოკრატია ამ გზას არ აირჩევს“ და ხვალ ყოველივე ეს უკუაგდოთ და მორთოთ მედიდურად ყვირილი: „ასე გვინდოდა ჩვენც“, „აქეთ მივდიოდით ჩვენ,“ მგონი ყველასათვის შესაძლოა ასწონდასწონოს ეს, შეაფასოს და ადვილად გაიგოს მიზანი ასეთი გამოსვლებისა.

მართალია, ჩვენს მენშევიკებს ხშირად უხდებათ ერთი პოზიციის დატოვება და მეორეს მობლაუჭება, ხშირად უხდებათ მათ ფერისცვალება (ეს თან დაყოლილი, ბუნებრივი თვისებაა მათი) მაგრამ ეს სრულიად არ აძლევს მათ უფლებას სხვისი მრწამსი თავისად გაასაღონ.

არა გვსურს აქ გავახსენოთ მკითხველს თუ როგორ დასტოვეს დასელებმა თავისი პოზიციები. გვწადია მხოლოდ გაკვირვება გამოვსთქვათ ერთი გარემოების გამო.

9 აპრილის ისტორიული აქტის შემდგომ, რაც ამიერკავკასიის ერთა წარმომადგენლებმა მიიღეს და დაამტკიცეს ფედერატიული-დემოკრატიული რესპუბლიკა, დასელთა დამცველ პროპაგანდისტებმა ჩვეულებისამებრ დაიწყეს ხალხში იმ აზრის გატარება, ვითომც **ფედერატიული-დემოკრატიული რესპუბლიკა მათი პოლიტიკური მოთხოვნაც ყოფილიყოს, ისიც პროგრამაში აღბეჭდილ-აღნიშნული.**

არ შეგიძლია ადამიანს გული არ აღგიშფოთდეს, არ აღელდე, როდესაც ხედავ ინტელიგენტს (ის ეძახის ასე თავის თავს, თუ კი დაერქმევა) პოლიტიკურს საკითხებში განუვითარებელს ხალხში, აცნობდეს 9 აპრილის ისტორიულს გარდაწყვეტილებას და თან უმატებდეს: „ამისთვის ცხარჯავდით ჩვენს ენერგიას, ეს გვეწერა ჩვენ ს.-დ. პროგრამაში და ეს განხორციელდაო“.

თურმე ნუ იტყვით! ფედერატიული რესპუბლიკა ასეთი ვაჟბატონების „ღრმა აზრით„ სოც.-დემოკ. პროგრამაში წერებულა. როგორ შეხვდება ამას ხალხი? რასაკვირველია, ის უნდობლობას გამოუცხადებს ინტელიგენციას. აუცრუვდება მას გული ყველა პარტიაზე და გაჰყვება არა სასურველს გზას. მართლაც და, როგორ უნდა გაჰბედოს ცოტად თუ ბევრად მცნობმა ხალხის ფსიქოლოგიისა ასეთი უცნაური და შეუ'აბამო განმარტება? ნუ თუ ხალხი ისე ბრმად ჰგონია დღესაც, რომ ამ ერთი უკანასკნელი წლის ისტორია მაინც დაავიწყდეს? ნუ თუ ჰგონიათ მათ, რომ ხალხი ყველა ფერს დაუჯერებს მენშევიკებს, როგორც ეს ასე ხდებოდა ხოლმე ადრე? ნუ თუ ხალხის გულიდან, მის მეხსიერებიდან ამოიფხვრება ის, რომ მთელი წლის განმავლობაში სოც.-დემოკრატები ებრძოდენ, გაშმაგებით ებრძოდენ ფედერაციას, რასაც უმარტავდენ როგორც ბატონ-ყმობას, ძველი რეჟიმის დაბრუნებას, ქართველი მეფის ყოლას და სხვა... და დღეს ისე ბრმად როგორ დაიჯერებს ხალხი, რომ **ფედერაცია დასელების პროგრამული საკითხი გახლავს.** რასაკვირველია, ძნელი უნდა იყოს ხალხისათვის ამის დაჯერება.

ნუ თუ იმ პირს, ვინც ხალხში პოლიტიკურს საკითხებზე მსჯელობს, არა აქვს ოდნავი წარმოდგენა თავისი პროგრამისა და პარტიულს ლიტერატურაზე? საუბედუროდ ეს ასე ყოფილა.

და ჩვენც გულწრფელად ურჩევთ ასეთს პირებს კარგად დაუკვირდენ საკუთარს პრესას მაინც, სადაც ხშირად წააწყდებიან, რომ ამის, ფედერატიული რესპუბლიკის მხარის დაჭერა **„არც ისე დიდს უბედურებას“** წარმოადგენს. განა ამის შემდეგ შეიძლება თქვას ვინმემ, რომ სოც.-დემოკრატებს პროგრამაში უწერიათ ფედერატიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა?

ჩვენ ამის მტკიცება ზედმეტად მიგვაჩნია, მაგრამ რა ვქნათ, რომ ასეთს სინამდვილესთან გვაქვს საქმე?

ჩვენ ვურჩევდით ასეთი ჯურის ადამიანებს, თუ კი მათ სწადით ხალხის კეთილდღეობა, სწადიათ, მისთვის ზრუნვა; გამოიჩინონ მოქალაქობრივი გამბედაობა, უკუაგდონ ობსკურანტების როლი, მივიდენ ხალხთან და გულწრფელად აღიარონ: „პარტია რომელსაც თქვენ მისდევდით, დამარცხდა, ფაქტიკად დამარცხდა პოლიტიკურს საკითხში, მაგრამ დაგვრჩა სხვა მხარეები და შეიძლება იქ მაინც გავიმარჯვოთ“. აი ასეთი აღსარების შემდგომ ხალხი ღრმად ჩაუკვირდება გარემოებას, მოუვლის მას ყოველის მხრივ, ასწონ-დასწონის და თვით გამოარჩევს სწორს გზას. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი დაფრთხება, სასოწარკვეთაში ჩავარდება. მაგრამ, როცა დადგება სასურველი ჟამი, ის გაიგებს პარტიის ცუღლუტობას, დემაგოგიურს ხრიკებს. გამოირკვევა, გამოფხიზლებული დემოკრატია თავის მოწინააღმდეგეს, მას, ვინც სინათლეს და სინამდვილეს მართლად არ უჩვენებდა მწარედ მოუგრეხს კისერს და უფსკრულისკენ გააქანებს.

ვანო ნიკოშვილი.

გუმბრის ამბები.

გუმბრი, 8 მაისი. („ანდოსნანი“). ოსმალოს ჯარი არპაჩაის მარჯვენა ნაპირს, და მაშასადამე გუმბრსაც, რომ უახლოვდებოდა, დაშინებულმა მცხოვრებლებმა—სომხებმა, ბერძნებმა და მაჰმადიანებმა განიზრახეს საშუამდგომლო დელეგაციის გაგზავნა ოსმალთა შტაბში ზოგიერთი საკითხის გამოსარკვევად. დელეგაცია მოლლა-მუსში მიიღეს ოსმალთა წარმომადგენლებმა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ოსმალოთა შტაბმა ოფიციალური ქაღალდი გამოგზავნა:

„გუმბრში. მაჰმადიან, სომეხ და ბერძენ მცხოვრებლებს: 1. დიდად მადლობელი ვარ, რომ უვნებლად დასტოვეთ გუმბრის მაჰმადიანები, მათი პატივი და ქონება, აგრეთვე იმისთვისაც, რომ ოსმალთა ტყვეებს ხელი არ ახლეთ. ყველა ამისთვის მე და ჩემი ჯარი მზადა ვართ უღრმესი მადლობა მოგიძღვნათ; 2. არავითარი ეჭვი არ არის, რომ სომეხი და ბერძენი მცხოვრებლები, რომელნიც ოსმალეთის მთავრობის ქვეშევრდომობას მოისურვებენ, ძველებურად სამართლიან და კეთილსინდისიერ მოპყრობას იპოვიან. ამაში თავმდებია ოსმალეთის ჯარი, რაშიაც გთხოვთ დარწმუნებული იყოთ; 3. გთხოვთ ხელი არ შეუშალოთ გუმბრის მაჰმადიანებს, რომელნიც მოისურვებენ ჩვენთან გადმოსახლებას, და დაუბრკოლებლივ გამოუშვათ აქეთ. ზემოაღნიშნულ სურვილების ასრულების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდება ჩემი, ჩვენი ჯარის და მთავრობის თქვენდამი მადლობა“.

ოსმალთა მე-5 დივიზიის სარდალი.

წერილი რედაქციის მიმართ

მეორე ქართულ მსროლელ საარტილერიო ბრიგადის მეოთხე ბატარეის ოფიცრები და ჯარისკაცნი გულწრფელ მადლობას უგზავნიან ყველა იმათ, ვინც სააღდგომო საჩუქრებით და სალამით მოიგონეს ისინი და ამ ხსოვნით და თბილი გრძნობით სავსე მზრუნველობით ცოტა ოდნავ მაინც შეუმსუბუქეს მათ მწვავე სევდა საკუთარ ოჯახისგან დაშორებით გამოწვეული.

განსაკუთრებულ მადლობას მოახსენებს მე-4 ბატარეია მეორე დივიზიის უფროს პოლკ. კარგარეთელის ოჯახობას, რომელმაც პირველად თავს იდვა და საკუთარის ენერგიით და შრომით შეგროვილ სადღესასწაულო ნონობათით გაახარა ყველა ჩვენგანი.

ამხ. რედაქტორო!

უღრმეს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომლებმაც ქ. ფოთში შეაგროვეს შემოწირულება ახლად დაარსებულ ქვალონის (სადგ.) სამკითხველოს სასარგებლოდ.

შემომწირველთა სია:

1. ნ. ბ. ლოლუა 10 მან., 2. ფანიძე ნ. 5 მან., 3. თ. რამიშვილი 5 მან., 4 მ. ლოლუა 3 მან., 5. სალუქვაძე ვ. 3 მან., 6. ხელაია ა. 3 მან., 7. თ. აფხაზავა 3 მან., 8. ნ. ჯანელიძე 3 მან., 9. გ. კანდაუროვ 3 მან., 10 ა. თოფურია 1 მან., 11. ო. ცომაია 1 მან., 12. ა. ჯორჯიკია 1 მან, 13. პ. ბულუხია 1 მან., 14. მ. ჩაქაპარია 60 კაპ. სულ 42 მ. 50 კაპ.

პროფ. სასწ. მოწაფე

ლ. ფანცულაია.

მადლობას უცხადებ ამხ. მეგობრებს, რომლებმაც შეაგროვეს შემოწირულების სახით ქვალონის სამკ. სასარგებლოდ.

შემომწირველთა სია:

1. ჩიქოვანი ვიქტორ 1 მანეთი, 2. გერასიმე გვაძაბია 1 მან., 3. ნიკო ნიკოლეიშვილი 50 კ., 4. იოსებ ფ. 50 კ., 5. ი. პაპავა 50 კ. 6. ანტონ ჩიჩუა 1 მან., 7. კ. პანტურია 1 მან., 8, ა. შენგელაია 1 მან., 9. ა. სალიქაძე 1 მან., 10. გ. ბოკუჩავა 50 კაპ., 11. კ. კვირკველია 50 კაპ., 12. თ. ფიჩულია 2 მან., 13. დ. გვაძაბია 1 მან., 14. ს. ჩარგეიშვილი 1 მან., 15. დ. კალაშნიკოვა 1 მან. სულ 13 მან. 50 კაპ.

მოხ. ჯ. კაცი პ. პანტურია.

მადლობას ვუცხადებთ მ. ხუხუნის ასულს, რომელმაც ქვალონის სამკითხველოს შემოსწირა 9 წიგნაკი და 1 სურათი ირაკლი წერეთლის, ღირებული 8 მან.

გულწრფელ მადლობას უცხადებ ა. ფანცულაიას რომელმაც შეაგროვა 15 მან. 50 კაპ. ზემოხსენებულ სამკ. სასარგებლოდ, აგრეთვე ა. დავითაიას 2 მან. ლ. ფანცულაიას, პ. პანტურიას, მარია ხუხუნს რომლებმაც თავიანთ ამხ. მეგობრებში შეაგროვეს შემოწირულება ახლად დაარსებულ სამკ. სასარგებლოდ და თვითონაც გაიღეს თავიანთი წვლილი.

გამგ. თავმჯ. პ. დანელია.

მდივანი ა. დავითაია.

გამომცემელი
სამხ. ფიცხაძავა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

იძლევა იჯარით ორ სართულიანი სახლი, 8 ოთახით, 4 წლის პირობით ფასად 3000 მან. ეს ფული საჭიროა რემონტისათვის. მსურველთ შეუძლიათ იკითხონ მე-9 უბ. ნორიის ამართზე № 11, საბაშვილი. 476

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ.
[illegible] ქ. № 6.

ექიმი
ი. ი. ზერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეზხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა. № 7. 2130

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09 1032

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის [illegible] საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს. ყველა კვირა დღეს გარდა. მისამართი: [illegible] მთავრის ქ. № 67, [illegible] საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი [illegible] ტელეფ. 6—77 1030

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა, იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. [illegible] ქ. 12, 9 [illegible] 1002

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

ქ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეზხაპუნება). საღამოობით $5^{1}/_{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბომონდის“ პირდაპირ. 1029

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ზ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის ავადმყ.)
გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალების და საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: $9^{1}/_{2}$—2 ს. ბავშვების შინაგანი ავადმყ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^{1}/_{2}$ ს.
მ. გ ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

საჯარო ვაჭრობა.
ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ შაბათს, 14 მაისს, დილის 12 საათზე, გამგეობის თანდასწრებით გაიმართება
საჯარო ვაჭრობა.
იჯარით არის მისაცემი ქალაქის დუქანი („ბუდკა“) ერევნის მოედანზე. პირობების გაგება შეიძლება ქალ. გამგეობის საიჯარო-სააღგილმამულო განყოფილებაში. 1163

20 მარტიდან ქ. ტფილისში გაიხსნა
სავაჭრო სახლი
„კომერსანტი“
კერძო პირთ, საზოგადოებებს, კოოპერატივებ, სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ქალაქისა და სოფლის ხალხს შეუძლია ამ სავაჭრო სახლის შემწეობით შეიძინოს ყოველგვარი ნაწარმოები, რაც კი მოიპოვება შინაურ და უცხოეთის ბაზარზე.
ყველას, ვისაც რაიმე ნაწარმოები აქვს, შეუძლია გაასაღოს სავაჭრო სახლი „კომერსანტი“-ს შემწეობით.
„კომერსანტს“ ჰყავს აგენტები როგორც კავკასიის ყველა დიდ ქალაქებში და სოფლებში, ისე რუსეთის და უცხოეთის დიდ ქალაქებში.
„კომერსანტი“ თვალყურს ადევნებს შინაურ და უცხოეთის ბაზარს, იცის რა ნაწარმოებია იქ გამოტანილი და რა დღეებში შეიძლება მისი შეძენა.
„კომერსანტებს“ აქვს რუსეთის და უცხოეთის დიდი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლობა და მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლიანთ მსურველთ ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან სხვა და სხვა მანქანების და ნაწარმოებების შეძენა.
„კომერსანტი“-ს კანტორა მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის სახლში № 10 და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
დეპეშით მისამართი ტფილისი „ტორდოვომი“. 1160

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14.

სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14